პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 41 (20687) — პარასკევი, 16 თებერვალი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

სალხის ენერგია წარმართოთ აღმშენებლობის კალაპოტით

სესიებს შორის ხანგამოშვება სულაც არ არის დასვენების დრო, ეს მხოლოდ დეპუტატთა მუშაობის მეორე ფორმაა. განვლილ „საპარლამენტო არდადეგებზე“ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები განსაკუთრებით ინტენსიურად შრომობდნენ: ჩვენი პარლამენტის კომიტეტებსა და კომისიებში ცხარე კამათი მიმდინარეობდა მთელი რიგი ფუძემდებელი კანონპროექტების გამო, რომლებიც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიამ უნდა განიხილოს.

სესია, როგორც დასახული იყო, 14 თებერვალს დილის 10 საათზე გაიხსნა კრემლში კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომით. გაიხსნა საქმიანი სულისკვეთებისა და ამავე დროს ახლანდელი მომენტის თავისებურებებით გამოწვეული წუხილის ვითარებაში. ეს შეახსენა დამსწრეთ სესიის გახსნისას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა.**

საჭიროა სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედება

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიის გახსნაზე

ამხანაგებო! სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიის გახსნისას მინდა სრული რწმენით ვთქვა, რომ განსახილველი საკითხების ხასიათის მიხედვით იგი ფართოდ სცილდება ჩვეულებრივი საპარლამენტო კრების ფარგლებს. სესიაზე უნდა მივიღოთ კანონები, რომელთა რეალიზაცია ძირეულ თვისებრივ ცვლილებებს გამოიწვევს ჩვენი საზოგადოების განვითარებაში. სწორედ ამით განიზომება ქვეყნის ცხოვრებისათვის მისი მნიშვნელობაც და ჩვენი უდიდესი პასუხისმგებლობაც.

არ შემიძლია არაფერი ვთქვა იმ ვითარების თავისებურებებზე, რომელშიც ჩვენ ვიწყებთ მუშაობას. მთავარია, რომ გარდაქმნამ, მოიცვა რა ცხოვრების ყველა სფერო და მოსახლეობის ყველა ფენა, ბევრი რამ მოგვცა იმ მხრივ, რაც ეხება დემოკრატიას, საჯაროობას, ადამიანთა ზეობრივ-ეკონომიკურ გონებასა და ენერგიის გაღვიძებას. რევოლუციური განახლების კურსმა — ეს უცილობელი ფაქტია — მკვეთრად დაიჩქარა ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარება.

ამასთანავე, როგორც ხაზგასმით აღინიშნა სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზეც და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზეც, ქვეყანაში თავი იჩინა და სულ უფრო იზრდება უმაყოფილება გარდაქმნის პროცესების მიმდინარეობის, ტემპისა და შედეგების, სამომხმარებლო ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის, ეროვნებათშორისი პრობლემების გამწვავების და წესრიგის შესუსტების გამო.

ახლა ფაქტობრივად საზოგადოება ერთსულოვნად მოითხოვს გაძლიერდეს მუშაობა ყველა მიმართულებით, მკვეთრად ამაღლდეს პასუხისმგებლობა და საქმიანი სულისკვეთება, დამყარდეს წესრიგი, გაბმტკიცდეს დისციპლინა. საერთოდ, ამხანაგებო, ჩვენ მივადექით მიჯნას, როდესაც საჭიროა სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედება, უწინარესად — ეკონომიკის სფეროში.

ეკონომიკის გაჯანსაღების გადაუდებელი და პერსპექტიული ღონისძიებანი, რომლებიც მთავრობამ შემოიტანა, დაამტკიცა სახალხო დეპუტატთა ყრილობამ. მაგრამ, მთელი თავისი მნიშვნელობის მიუხედავად, ეს მხოლოდ პროგრამაა, რომელსაც უნდა მოჰყვეს როგორც თვით მთავრობის, ისე ფაქთ ბოლოდდე მისი ყველა საქმეუწყვები ორგანოს და, რა თქმა უნდა, ქვეყნის შრომითი კოლექტივების ყოველდღიური მუყაითი მუშაობა.

1990 წლის განვლილმა თვე-ნახევარმა ჯერჯერობით ვერ გაგვიქარვა წუხილი. ბევრი ზოზინი და უთავბოლოობა ცენტრალური ორგანოების დონეზე დასახულ ღონისძიებათა რეალიზაციაში. გვაკლია ელემენტარული საქმიანი ჩვევები, არადა, ასეთ დროს გულხელდაკრეფილი ჯდომა არავის არ ეპატიება. ჯერჯერობით ვერ შევაჩერეთ ეკონომიკის მართვის შესუსტების პროცესი. ნელა მიმდინარეობს საწარმოებს შორის პირდაპირი სამეურნეო კავშირის დამყარება, ვერ ჭრის მონოპოლიზმის, ჯგუფობრივი ინტერესების შეზღუდვის მექანიზმები. ამას უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ, უნდა ვიმოქმედოთ. იქ, სადაც ჯერ არ შეუშუშავებიათ ეკონომიკური მიდგომა,— ძველი უნდა გამოვიყენოთ; გარდაქმნის პერიოდი სწორედ იმით გამოირჩევა, რომ დღეს დღეობით დასაშვებია ორივე მიდგომის თანამოქმედება. რა თქმა უნდა, უმთავრესი ყურადღება უნდა დაეთმოს ახალს, წინსწრას.

თუ ვიღაცას აკლია უფლებამოსილება, უნდა ვიზრუნოთ, რომ ასეთი უფლებამოსილება მიენიჭოს; მაგრამ თუ კაცს აკლია უნარი ან უბრალოდ პასუხისმგებლობა, მაშინ ლაპარაკიც სულ სხვაგვარი იქნება.

უდავოა, ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული მთავრობაზე, ცენტრალურ ორგანოებზე, მაგრამ დასახული პროგრამის შესრულებისათვის უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებსაც, განსაკუთრებით იმ მხრივ, რაც შეეხება სურსათს, მსუბუქ და კვების მრეწველობას, მომსახურების სფეროს, ტრანსპორტს, ვაჭრობას, — ყოველივე იმას, რაც მოსახლეობის საყოველდღიო საჭიროებებს უკავშირდება.

ჩვენი ადგილობრივი კადრები ნელი თავისუფლებიან სხვათა მოიმედეობის განწყობილებებისაგან, და სოციალური დაძაბულობაც ხშირად წარმოიშობა მათი სიზანტის და, თუ გნებავთ, უპასუხისმგებლობის გამო. ეს ხომ ფაქტია, რომ რკინიგზის ტრანსპორტს პირდაპირ ციებ-ცხელება შეეყარა, არსად არ არის მოგვარებული ვაგონების დროული განტვირთვა. ამის შედეგად კი სახალხო მოხმარების საქონელი, სურსათი, მაკომპლექტებელი ნაწარი, ნედლეული, სხვა მატერიალური რესურსები, რომლებიც საწარმოთა სტაბილური მუშაობისათვის არის გარკვეული დანიშნულების ადგილზე ვერ ხვდება.

ჩვენ ახლა ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ ერთდროულად, მჭიდრო ურთიერთკავშირით ვიზორაკელებდეთ გადაუდებელ ღონისძიებებს და მტკიცედ ვაწინაურებდეთ ეკონომიკურ რეფორმას. ეს, ასე ვთქვათ, ერთი მეედლის ორი მხარეა. რეფორმის გზებზე უნდა უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერებისა და ინიციატივის განვითარების ახალი მძლავრი სტიმულების შემოღება, გზა გავუხსნათ მეურნეობრიობის ახალ ფორმებს. სხვა გზა არა გვაქვს, ამის თაობაზე საზოგადოებაში თანხმობაა. ბოლოდროინდელი გამოცდილება კვლავ და კვლავ მოწმობს, რომ დღევანდელობის ყველა მწვავე პრობლემა შეიძლება რადიკალურად გადაიჭრას სწორად მთელი სამეურნეო მექანიზმის, უფრო მეტიც — წარმოებითი ურთიერთობის მთელი სისტემის გარდაქმნის გზებზე.

გარდაქმნის, რადიკალური ეკონომიკური რეფორმის დაყოვნებამ შეიძლება კიდევ უფრო გაგვიართულოს ჩვენი დღევანდელი სიძნელენი. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული უზენაეს საბჭოზე, მის ახლანდელ სესიაზე, რომლისგანაც ქვეყანა უწინარესად მოელის საკუთარებისა და მიწის კანონებს, საერთოდ, ეკონომიკური კანონების მთელ პაკეტს.

რეფორმების, გარდაქმნების საჭიროება ასევე მწვავედ იგრძნობა სხვა სფეროებშიც. აიღეთ ეროვნებათშორისი ურთიერთობა. ახლა ჩვენ ყველანი შეშფოთებული ვართ იმის გამო, რაც მთელ რიგ რეგიონებში ხდება. ცხადია, რომ ინტენსიურად სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიამ უნდა განიხილოს.

სესია, როგორც დასახული იყო, 14 თებერვალს დილის 10 საათზე გაიხსნა კრემლში კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომით. გაიხსნა საქმიანი სულისკვეთებისა და ამავე დროს ახლანდელი მომენტის თავისებურებებით გამოწვეული წუხილის ვითარებაში. ეს შეახსენა დამსწრეთ სესიის გახსნისას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა.**

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

ახლანდელი საარჩევნო კამპანიის დასაწყისში ცოტა ვინმეს თუ შეეძლო ეწინასწარმეტყველებინა ისეთი ვნებათა ღელვა, როგორიც იყო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისას. საარჩევნო ბრძოლის ამ მნიშვნელოვანი ეტაპის დასრულების შემდეგ მიუკერძოებელმა კომპიუტერმა ასეთი ციფრი მოგვცა: რესპუბლიკის დეპუტატთა კორპუსში 300 ადგილზე... 2947 კაცი დაუსახელებიათ.

მოიყვანა რა ეს ციფრი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგ სხდომაზე, რომელიც 13 თებერვალს გაიმართა, კომისიის თავმჯდომარემ ი. ჟორდანიამ მაშინვე განმარტა. მან თქვა, რომ დასახელებათა რაოდენობა, რა თქმა უნდა აღემატება დეპუტატობის რეალურ კანდიდატთა რიცხვს, რადგან მრავალი მათგანი დაასახელეს ერთბაშად რამდენიმე საარჩევნო ოლქში. დამატებით დაზუსტებას მოითხოვს დასახელებათა ნაკადიც, რომელიც მკვეთრად გაიზარდა უკანასკნელ დღეებში. გამოითქვა წინადადება, რომ კანდიდატთა საბოლოო რიცხვი შეიძლება შერყეობდეს 2500-ის ფარგლებში. და მაინც, ეს ციფრი, როცა საუბალოდ ყოველ ოლქზე მოდის 8,8 ზოგჯერ კი ცხრა კანდიდატიც, აშკარად მოწმობს ადამიანების არნახული სოციალურ აქტიურობას, დემოკრატიზაციის პროცესებს, რომლებიც სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება ჩვენს ცხოვრებაში.

დეპუტატის მანდატზე პრეტენდენტთა რიცხვის მიხედვით „რეკორდსმენი“ გახდა ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის № 23 ვერის საარჩევნო ოლქი, სადაც დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულია 31 კაცი. კიდევ ათ საარჩევნო ოლქში დასახელეს 20-20 და მეტი კანდიდატი. 10-10 და მეტი კაცი წარმოდგენილია 118 ოლქში. აღსანიშნავია, რომ აბსოლუტურად ყველა საარჩევნო ოლქში წამოყენებულია ალტერნატიული კანდიდატები. როგორც წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს, საკმაოდ სტაბილური დარჩა ქალთა პროცენტი დეპუტატობის კანდიდატთა შორის. მათმა რიცხვმა 350 მიაღწია, რაც 12 პროცენტს შეადგენს. დასახელების საწყის ეტაპთან შედარებით შესამჩნევად გაზრდილა 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდობის რიცხვი. მათ შორის ხუთიდან რვამდე დეპუტატის მანდატის და პრეტენდენტთა პროცენტი. დეპუტატობის კანდიდატთა შორის საგრძნობლად იმატა მეცნიერებისა და კულტურის, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანაც არა მარტო ცენტრალური ორგანოებიდან, არამედ ადგილებიდანაც, წარმომადგენელთა რიცხვმა. როგორც ჩანს, დეპუტატობის კანდიდატთა ახლახან დაწყებული რეგისტრაციის დამთავრებისთანავე, ყოველ საარჩევნო ოლქში გაჩაღდება მწვავე საარჩევნო ბრძოლა დეპუტატთა კორპუსში ადგილისათვის.

ბუნებრივია, რომ საარჩევნო კამპანიის ამ და მომდევნო ეტაპების ზუსტ ორგანიზაციაში ბევრი რამ აერის დამოკიდებული საოლქო საარჩევნო კომისიებზე. სხდომაზე ამ მიმართულებით განხორციელებული მუშაობის შესახებ ანგარიშით წარსდგნენ საოლქო საარჩევნო კომისიათა წარმომადგენლები: ქალაქ ტყიბულის № 196 ლენინის საარჩევნო ოლქისა — ბ. ორჯონიკიძე, საგარეჯოს რაიონის № 144 პატარძეულის, № 145 საგარეჯოსა და № 146 ბადიაურის საარჩევნო ოლქების თავმჯდომარეები — ნ. დიღმელაშვილი, ნ. გურჯიძე და ვ. ჯანიაშვილი. აღინიშნა, რომ ამ კომისიების მიერ განხორციელებულ სერიოზულ მუშაობასთან ერთად თითოეული მათგანის საქმიანობას ახასიათებს საკმაოდ არსებითი ნაკლოვანებანი და ხარვეზები. სწორედ მათზე გაამახვილეს ყურადღება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. კვაჭაძემ, აგრეთვე „საქართველოში დემოკრატიული არჩევნების“ საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგეობის თავმჯდომარემ რ. შავიშვილმა, საქართველოს სახალხო ფრონტის საარჩევნო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ რ. პეტრიაშვილმა, ამ ფრონტის წარმომადგენელმა ვ. როგავამ და სხვებმა, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ანგარიშების განხილვაში. როგორც აღინიშნა, ამ საოლქო საარჩევნო კომისიათა მრავალი ნაკლის მიზეზი ის არის, რომ ახლაც კი, როცა მოქმედებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ ახალი კანონი, ისინი თავიანთ მუშაობას წარმართავენ ძველებურად, მთლიანად არ იყენებენ მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს.

იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა და კეთდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების საარჩევნო ოლქებისა და უბნების სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფისა და მომსახურებისათვის, კომისიას მოახსენა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრმა [illegible] საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ დ. ლომთათიძემ ილაპარაკა არჩევნებისათვის მზადებაში კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციების მონაწილეობაზე.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო ბათუმისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების წინადადება გემებზე შექმნილი და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მოქმედი საარჩევნო უბნების ბათუმისა და ფოთის შესაბამისი საარჩევნო ოლქებისათვის მიწერის შესახებ. დამტკიცდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან შექმნილი საკონსულტაციო იურიდიული ჯგუფის შემადგენლობა, რომელშიც 19 კაცი შედის. სხვათა შორის, ამ ჯგუფის წევრთა უმრავლესობამ უკვე ამ სხდომაზე მიიღო აქტიური მონაწილეობა მოქალაქეთა მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გამოგზავნილი წერილებისა და პირადი მიმართვების შესახებ საკითხის განხილვაში.

ეს იყო ცოცხალი და გულახდილი აზრთა გაზიარება, რომელშიც, ამ საკითხის მომმზადებელთან, კომისიის პასუხისმგებელ მდივანთან ტ. კულულაშვილთან ერთად მონაწილეობდნენ სხდომაზე მოწვეული საოლქო საარჩევნო კომისიების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის სამდივნოს პასუხისმგებელი მუშაკები. საუბარი იყო მომთხოვნი, მიუკერძოებელი, წარმოიქმნა სადავო მომენტები, რომლებიც მოითხოვენ იურისტთა ახსნას, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონის ცალკეული მუხლების უფრო ზუსტ განმარტებას. წამოჭრეს რა საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხების ფართო წრე, ორატორებმა პრინციპული შეფასება მისცეს არჩევნების შესახებ კანონიდან გადახვევის ცალკეულ ფაქტებს, აღნიშნეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დროული რეგირება ადგილებიდან მოსულ ყოველ სიგნალზე, გამოთქვეს ახალი კანონის მკაცრი შესაბამისობით არჩევნების ორგანიზებულად გამართვის უზრუნველყოფის კონკრეტული წინადადებები. (საქინფორმი).

დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

განვაგრძობთ იმათ წარმოდგენას, ვინც დაასახელეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად

დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან:

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის დოცენტი **თეიმურაზ ნიკოლოზის ძე ჩაჩავა** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაციისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი კარლოს ძე გოგსაძე** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაციისაგან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ქიმიის კათედრის გამგე **ბიძინა ილიას ძე ჭუმბურიძე** — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოსაგან.

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლეს ვახტანგ ჯორჯაძის სახელობის საკადრაკო სკოლის დირექტორი **ნანა გიორგის ასული ალექსანდრია** — საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „შავარდნის“ რესპუბლიკური საბჭოსაგან.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი ვალერიანის ძე წილოსანი** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე **ონერი შალვას ძე ნიმბიწვერიძე** — საქართველოს კოლმეურნეობათა საბჭოსაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **თემურ შალვას ძე ფიფია** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **იოსებ გრიგოლის ძე ხაზარაძე** — ამ საბჭოსაგან.

გურჯაანის რაიონის სოფელ ჭაღრის კოლმეურნეობის მექანიზატორი **ლელა დიმიტრის ასული გაბოშვილი** — საქართველოს კოლმეურნეობათა საბჭოსაგან.

ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს ექიმი **ზვიად ბიმლეტის ძე თოლორაია** — საქართველოს ექიმთა ასოციაციისაგან.

საქართველოს კოლმეურნეობათა საბჭოს გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **სერგო ხამსონის ძე რუხაძე** — ამ საბჭოსაგან.

გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი **თენგიზ თომას ძე გაჩეჩილაძე** — საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „შავარდნის“ რესპუბლიკური საბჭოსაგან.

გორის ეკონომიკის ინსტიტუტის სტუდენტი **კობა ბეჟანის ძე კურტანიძე** — საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შავარდნის“ რესპუბლიკური საბჭოსაგან.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგე **თენგიზ თეოდორეს ძე ურუშაძე** — საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მიწების დაცვის სპეციალიზებული რესპუბლიკური ინსპექციის შრომითი კოლექტივისაგან.

„საქკოლპროექტის“ საპროექტო ინსტიტუტის ტექნიკური განყოფილების უფროსი **გურამ ირაკლის ძე ქავთარაძე** — საქართველოს საზოგადოება „თბილისელისაგან“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრთან არსებული კოოპერატივ „ინფორტექის“ თავმჯდომარე **ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი** — ამ კოოპერატივის შრომითი კოლექტივისაგან.

ჟურნალისტი **მერი ონისიმეს ასული ცანავა** — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისაგან.

ცეკავშირის გაერთიანება „საქკოოტექნიკის“ გენერალური დირექტორი **გიორგი გიორგის ძე მუსხელიშვილი**— ამ გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან.

გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ საკუთარი კორესპონდენტი საქართველოს სსრ რესპუბლიკაში **ია ლეონიდეს ასული მუხარანელი** — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისაგან.

ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკანის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **როსტომ ტარიელის ძე ნორარაძე** — ყვარლის რაიონის ჭიკანის საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

აღგილობრივი მრეწველობის ზუგდიდის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი **მურთაზ მიხეილის ძე ყალიჩავა** — გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს ბუნების დაცვის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ომარ შალვას ძე ჯანელიძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი **გაბრიელ გაბრიელის ძე ნადარეიშვილი** — საქართველოს დიზაინერთა კავშირისაგან.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **როლანდ ანზორის ძე ბასიაშვილი** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

თეთრი წყაროს რაიონული რადიომაუწყებლობის რედაქტორი **ავთანდილ ბეგლარის ძე დალაქიშვილი** — თეთრი წყაროს კინოფიკაციისა და კინომაყურებლობის რაიონული კვეთების შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოსლოის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის მასწავლებელი **რევაზ ვლადიმერის ძე გოგუშელიძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარი სარედაქციო კოლეგიის რედაქტორი **თეიმურაზ გრიგოლის ძე ჯოჯუა** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

„საკავშირო-ფლმშენსახპროექტის“ საპროექტო ინსტიტუტის უფროსი არქიტექტორი **ირაკლი ნიკოლოზის ძე ეფლეტი** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

თეთრი წყაროს რაიონული გაზეთის „ლენინური გზით“ რედაქტორი **აკაკი არჩილის ძე ბედოიძე** — ამ გაზეთის რედაქციისა და სტამბის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის პროფესორი **ციალა ისაიას ასული ხვინიძე** — საქართველოს სახალხო ფრონტის ხონის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ რედაქტორი **გურამ ხოლომონის ძე გოგიაშვილი** — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი **გურამ ვლადიმერის ძე სანაძე** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაციისაგან.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ პასუხისმგებელი მდივანი **ზურაბ ალექსანდრეს ძე ანაშიძე** — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისაგან.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სამეცნიერო ცენტრის მეთოდისტი **მადონა გიორგის ასული მდივნიშვილი** — საქართველოს სახალხო ფრონტის პედაგოგთა ასოციაციისაგან.

კასპის რაიონული გაზეთის „განთიადის“ რედაქტორი **თეიმურაზ ხერგოს ძე ეფლეტი** — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **ოთარ ვახტანგის ძე ჯაფარიძე**—საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

(დასასრული მე-2 გვ.).

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ერთ-ერთი დეპუტატის წინადადებით სესიამ წუთიერი დუმილით მიაგო პატივი ამიერკავკასიის ამბების დროს დაღუპულთა ხსოვნას.

როგორი უნდა იყოს სესიის მუშაობის წესი და რა შეეტანონ სესიის დღის წესრიგში — ამის თაობაზე წინადადებანი შემოიტანა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ა. ი. ლუკიანოვმა.**

ამ წინადადებებს, თქვა მან, საფუძვლად დაედო, უწინარეს ყოვლისა, სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის დადგენილება, კომიტეტებისა და კომისიების მოსაზრებები, აგრეთვე უზენაეს საბჭოში სახალხო დეპუტატთაგან, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეებისაგან შემოსული სურვილები. საკითხთა არჩევას საგრძნობი კვალი დაანჩნია, რა თქმა უნდა, თვით ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამაც, იმის მიხედვით, რომ მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ყველაზე მწვავე და ძნელი პრობლემები.

დღის წესრიგის ფორმირებისას მხედველობაში მივიღეთ, რომ კანონშემოქმედებითი მუშაობა უთუოდ უნდა წარიმართოს დემოკრატიზაციის პროცესის გასაღრმავებლად, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში რადიკალური ცვლილებების განსახორციელებლად. უწინარეს ყოვლისა, ეს არის ეკონომიკური რეფორმა, ცვლილებები პოლიტიკურ სტრუქტურებში, ჩვენი ფედერაციის განვითარებაში, კანონიერებისა და დისციპლინის განმტკიცება, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუველყოფა. შემოთვალეზეუ ლ ი ა, დღის წესრიგში შეეტანოთო აგრეთვე საკითხები, რომლებიც გამომდინარეობს უზენაესი საბჭოს მიერ წინათ მიღებული გადაწყვეტილებებიდან.

და ბოლოს, გავითვალისწინეთ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს „პორტფელში“ არსებული კანონპროექტების მზაობის, დახვეწის დონე. ეს უთუოდ უნდა თქვას, ვინაიდან წინა ორი სესიის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ზოგჯერ უნაყოფოდ იხარჯება დრო არასაკმაოდ შემოწმებული, ნედლი დოკუმენტების განსახილველად. ამიტომ თუ დღის წესრიგს ზოგიერთი აქტუალური საკითხი აკლია, იმით კი არ უნდა აიხსნას, რომ არ გვსურს მათი განხილვა, არამედ იმით, რომ კანონმდებლებს შესაძლებლობა მივცეთ დამატებით დახვეწონ და საჭირო კონდიციამდე მიიყვანონ ესა თუ ის კანონპროექტები.

სულ დღის წესრიგში შემოთავაზებულია შვეიცარიონთ ორმოცდაათი საკითხი, აქედან ოცდაათი — უპირველესი განხილვისათვის. პირობითად ისინი შეიძლებოდა შვიდ ძირითად ჯგუფად გაგვეერთიანებინა. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, კონსტიტუციური განვითარების, ქვეყნის ძირითადი კანონის მთელ რიგ საკვანძო დებულებათა შეცვლის საკითხები, ეკონომიკური რეფორმის საკვანძო პრობლემები, სოციალური პოლიტიკის, საბჭოთა ფედერაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფის საკითხები, პოლიტიკური რეფორმის და სამართლებრივი რეფორმის პრობლემები და, ბოლოს, ორგანიზაციული საკითხები.

ორატორმა დამსწრეთ შეახსენა, რომ სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობამ საჭიროდ ცნო დაეხვეწოთ სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის მთელ რიგ დებულებათა შეცვლის საკითხები, რომლებიც პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების საფუძვლებს, ისადმი ურჩობისათვის, კანონების დარღვევისათვის, მოწოდებანი ძალმომრეობისათვის, ცდები, რომ შეგნებულად გაალვევონ უკმაყოფილება, გამოიწვიონ პანიკა. ბრალეულებმა კანონის მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი.

სამართლებრივი სახელმწიფო, რომლის შექმნა გვსურს, უწინარესად იმით გამოირჩევა, რომ საზოგადოებაში არსებული შეხედულებებისა და ინტერესების მრავალფეროვნებას საშუალება ეძლევა თავისუფლად წარმოჩნდეს, დაიცვას თავი პოლიტიკური სტრუქტურების ფარგლებში, მიაღწიოს თავის მიზნებს პოლიტიკური საშუალებებით. ეს არის მთელი დედააზრი, ამხანაგებო. რისთვის შემოვიღეთ, საკითხავია, თავისუფალი არჩევნები, რისთვის „შუამბენერკილი“ და უზენაესი საბჭო, რისთვის მკვიდრდება ფართო საჯაროობა, ვითარდება და ღრმავდება საზოგადოების დემოკრატიზაცია? კონსტიტუციის ნიადაგზე მდგომ ყველა მოქალაქესა და ორგანიზაციას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ პროცესში. ხოლო იმათ, ვისაც ურჩევნია შეუწყნარებლობა, ძალმომრეობა, ქაოსი, უკვე ვეღარაფრით ვერ მიაკუთვნებ დემოკრატებს, რომლებიც ასეიფნენ საკუთარ თავს, პლურალიზმისა და იდეების თავისუფალი შეჯიბრების გულშემატკივრებს. უნდა ითქვას, რომ ჩვენმა პრესამაც, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მკვეთრად უნდა განასხვავონ აღმშენებლობითი პროცესები დამანგრეველი პროცესებისაგან. მით უმეტეს შეუწყნარებელია, რომ მათ იყენებდნენ არეულობის, შფოთისა და ძალმომრეობის წამქეზებელთა რუპორად.

სწორედ ჩვენი ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სუსტი დემოკრატიის დაცვა, ხალხის ინტერესების დაცვა მოითხოვს ჩვენგან გაბედულ მოქმედებას. დღეს საფრთხეშია არა რაღაც კერძო ინტერესები და საზრუნავი, არა მარტო მოსახლეობის ცალკეული ფენებისა და ჯგუფების კეთილდღეობა. საქმე ეხება იმას, როგორ წარიმართება გარდაქმნა, შეეძლებთ თუ არა მივაღწიოთ მის კეთილშობილურ მიზნებს დემოკრატიისა და თანხმობის გზებზე, სამოქალაქო და ეროვნებათშორისი თანხმობის, ძალმომრეობის გარეშე. გარდაქმნამ გამოავლინა მრავალი სხვადასხვაგვარი პოზიცია, თვალსაზრისი, შეხედულება მიმდინარე პროცესებზე. ეს ნორმალურია, ეს პროცესი — შეიძლება უყოყმანო პროგნოზირება — კვლავაც განვითარდება. მაგრამ მთავარ რამეში

ხალხის ენერგია წარმართოთ აღმშენებლობის კალაპოტით

(დასასრული)

აგრეთვე სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წყობილების არეგულირებენ. უზენაეს საბჭოს დაევალა ამ საკითხებზე შემოსული წინადადებათა დამუშავების შემდეგ განსახილველად წარუდგინოს ისინი ყრილობას.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ერთხელ კიდევ საფუძვლიანად გააანალიზა ეს პრობლემა და ერთსულოვნად დასკვნა, რომ საჭიროა უკვე უახლოეს ხანს შეიტანოთ კონსტიტუციის ასეთი ცვლილებები უზენაესი საბჭოსა და სახალხო დეპუტატთა ყრილობის განსახილველად. ისინი შეეხება ძირითადი კანონის მე-6 და მე-7 მუხლებს პარტიისა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ადგილის შესახებ, საკუთრების სხვადასხვა ფორმებისადმი მიძღვნილ მუხლებს, აგრეთვე დებულებებს, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების უფლებამოსილებას იმ იდეასთან დაკავშირებით, რომელიც არაერთგზის წამოუყენებიათ დეპუტატებს, მოქალაქეებს, ჩვენს მეცნიერებს ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის შემოღების შესახებ.

ამ საკითხთა განსახილველად სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეიტანა წინადადება მოიწვიოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე მესამე ყრილობა.

შემდეგ ა. ი. ლუკიანოვმა დაწვრილებით ილაპარაკა სესიის განსახილველად წარმოდგენილი კანონების პროექტებზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ და დაწვრილებით დაახასიათა ყოველი მათგანი.

ა. ი. ლუკიანოვმა თქვა, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა სესიის განსახილველად შემოიტანა პროექტი დადგენილებისა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად უზენაესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციის შესახებ. იგი მჭიდროდ უკავშირდება შემოთავაზებულ დღის წესრიგს და ამასთანავე განსაზღვრავს მთელი მომავალი მუშაობის პარამეტრებს. შეეხო რა მის არსებითს თავისებურებებს, ორატორმა თქვა, რომ სახალხო დეპუტატთა ყრილობამ უზენაეს საბჭოს მიანიჭა პრინციპულად ახალი უფლებამოსილება: კანონს რომ იღებს, მას ახლა შეუძლია ერთდროულად შეიტანოს საჭირო ცვლილებები კონსტიტუციის ცალკეულ მუხლებში — მორიგ ყრილობაზე მათი შემდგომი დამტკიცებით. ეს სახავს დამატებითს შესაძლებლობებს დაჩქარდეს დასახული რეფორმების განხორციელების, აგრეთვე საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტის პროცესი.

ამასთანავე აღნიშნული სიახლე მნიშვნელოვნად აამაღლებს კომისიებისა და კომიტეტების, უზენაესი საბჭოს წევრების, დეპუტატთა მთელი კორპუსის პასუხისმგებლობის მიღებული გადაწყვეტილებებისათვის.

გაითვალისწინეს რა შექმნილი ვითარება, დეპუტატებმა მოუწოდეს გამოიჩინონ მაქსიმალური პრინციპულობა და საქმიანი მიდგომა — ყრილობის დავალების შესაბამისად — სასწრაფო, აგრეთვე საგანგებო ღონისძიებების განსაზღვრისას, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. ამასთან დაკავშირებით უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია მიიღონ მთავრობის წინადადება, რომ სესიაზე განიხილონ ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის საკითხი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეცამეტე ხუთწლიანი გეგმის პროექტის მომავალი განხილვა. მას უნდა ახასიათებდეს ისეთი თვისებები, როგორიც არის სოციალისტური ბაზრის პირობებისადმი ადაპტაციის უნარი, კონიუნქტურის ცვლილებებთან, საწარმოების, რეგიონების, რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოებასთან დაკავშირებული მოქნილობა. ამასთანავე უზენაესი საბჭო უდავოდ განსაკუთრებულ კონტროლს დაუწესებს იმას, თუ როგორ აისახება გეგმაში კურსი, რომლის მიზანია გაუმჯობესდეს მოსახლეობის კეთილდღეობა, პრიორიტეტულად განვითარდეს აგროსამრეწველო კომპლექსი, უწინარეს ყოვლისა გაუმჯობესდეს სასურსათო მომარაგება, გაჯანსაღდეს ეკოლოგიური ვითარება.

განსახილველია ეროვნებათშორისი ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი საკითხები. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს ითანამშრომლონ ამ საკითხთა გადაწყვეტაში, დარბაისლურად მიუდგნენ მათ, რათა ემოციებმა არ დაჯაბნოს საღი აზრი, რათა ინტერნაციონალიზმი იგრძნობოდეს ყოველ ნაბიჯში. აქ ქვეყნის უზენაესი საბჭოს მაგალითი ეტალონი უნდა იყოს სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოსთვის: და მთლიანად საზოგადოებისათვის.

შეეხო რა ახლად ასარჩევი ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა სამხედრო დონის არსებითი ამაღლების ამოცანებს, ა. ი. ლუკიანოვმა ხაზი გაუსვა, რომ აქ ძირითადი დატვირთვა დაეკისრება სახალხო დეპუტატების საბჭოების მუშაობის საკითხთა, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების კომიტეტს. ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ საკავშირო კანონის მიღების შემდეგ აღმათ ყველაზე აქტიური დახმარება დაგვჭირდება შესაბამისი რესპუბლიკური აქტების შესამუშავებლად, რაც მთავარია, იმ ახალი პრინციპებისა და დებულებების განსახორციელებლად, რომლებიც არსებითად აფართოებენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებას.

კანონშემოქმედებასთან ერთად თქვა შემდეგ ორატორმა, დიდი ძალისხმევა უნდა მოვახმაროთ — და ეს დადგენილების პროექტში საგანგებოდ არის აღნიშნული — საკითხებს, რომლებიც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს განმკარგულებელი და საკონტროლო უფლებამოსილებების პრაქტიკულ რეალიზაციას უკავშირდება. ისინი აქ მრავალად დაგროვდა. მაგრამ კანონმდებლობის გამო მოუცლელობის მიუხედავად, უაღრესად საჭიროა, რომ უზენაესი საბჭოს საკონტროლო ფუნქციები ხორციელდებოდეს.

საბჭოთა ადამიანები მოელიან, რომ უზენაესი საბჭო მომთხოვნელად და მკაცრად ადევნებს თვალს მოვლენათა განვითარებას ქვეყანაში, კანონების, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სხვა გადაწყვეტილებების დაცვასა და განხორციელებას.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი იმით ხელმძღვანელობს, რომ ახლანდელი სესია შეიძლება დამთავრდეს აპრილის დამლევს, ასე 24-25-ში. გითვალისწინებთ რა დღის წესრიგის დაძაბულობას, მუშაობის ძირითადი სიმძიმის კომისიებსა და კომიტეტებში გადატანის საჭიროებას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთი კვირა დაეთმოს პლენარულ სხდომებს, ხოლო მეორე — კომიტეტებსა და კომისიებში მუშაობას. წინა სესიის გამოცდილებამ ცხადყო ასეთი მონაცვლეობის მიზანშეწონილობა. უზენაესი საბჭოს წევრთა მრავალი წინადადების შესაბამისად უპრიანი იქნება თვეში ერთი დღე გამოვყოთ იმისათვის, რომ მთავრობის წევრებმა, სხვა სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებმა უპასუხონ დეპუტატთა კითხვებს, თქვა დასასრულ ა. ი. ლუკიანოვმა.

დეპუტატებმა ყურადღებით მოისმინეს წინადადებანი დღის წესრიგის გამო. თითქოს არც ისე ძნელია მასში პრიორიტეტების განაწილება, საპროცედურო მომენტების გადაწყვეტა. მაგრამ სწორედ მათ გამოიწვიეს გაცხოველებული დისკუსია. დეპუტატები ითხოვდნენ განემარტათ, კერძოდ, რის გაკეთებას აპირებენ ქვეყნის „ცხელ წერტილებში“ ვითარების შედარებითი სტაბილიზაციისათვის, რა კონტექსტით უნდა განიხილონ და საჭიროა თუ არა ახლა განიხილონ სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლის ბედი. ითქვა ისიც, რომ კარს მოგვადგა რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები და ამასთან დაკავშირებით სასურველია უპირველეს საკითხთა შორის განეხილათ ადგილობრივი თვითმმართველობის კანონ-პროექტი. ერთ-ერთმა დეპუტატმა შენიშნა, რომ პარლამენტში უფრო აქტიურ როლს უნდა ასრულებდეს უხუცესთა საბჭო, რომელიც გამოიტანდა ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებას.

ამის გამო, რომ დღის წესრიგის ფორმირების პროცესში გამოითქვა სხვადასხვაგვარი, მათ შორის, საწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხველი აზრები, მ. ს. გორბაჩოვმა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს სთხოვა შეკრებილიყვნენ შესვენების დროს, განეზოგადებინათ დეპუტატთა წინადადებები და შეეშუშავებინათ რეკომენდაციები.

ამ განხილვის დროს პრეზიდიუმის წევრებმა გაიზიარეს ზოგიერთი დეპუტატის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ დასახული დღის წესრიგი აერთიანებს საკითხთა სამ ბლოკს, რომელთაგან ერთნი მიზანშეწონილია განხილონ ჯერ კავშირის საბჭოს სხდომაზე, მეორენი — ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე, ხოლო უკვე შემდეგ დაუბრუნდნენ მათს განხილვას პალატების გაერთიანებულ სხდომებზე. სესიის მუშაობის სწორედ ასეთ წესს დაუჭირა მხარი უზენაესი საბჭოს წევრთა უმრავლესობამ.

სესიამ გადაწყვიტა დღის წესრიგში შეიტანოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობის მოწვევის საკითხის განხილვა, რომლის გამართვა იმით არის ნაკარნახევი, რომ შესატანია მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები სსრ კავშირის კონსტიტუციაში, კერძოდ, დასაფუძნებელია ქვეყანაში პრეზიდენტის დემოკრატიული ხელისუფლება.

მთელ რიგ დეპუტატთა წინადადებით, დღის წესრიგში შეიტანეს აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკებში შექმნილი მდგომარეობის, ინციდაციის შეფასებისა და რეგიონში არსებული ვითარების სტაბილიზაციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების საკითხი.

მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დისკუსიის დროს უნდოდათ ამ სესიაზე განეხილათ, გადაწყდა განიხილონ თავდაპირველად სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში, და შემდეგ, როდესაც მის კოლეგიურ აზრს მოიხმენენ, გადაწყვიტონ, შეიტანონ თუ არ შეიტანონ ისინი დღის წესრიგში.

პალატების თავმჯდომარეებს მიეცათ დავალება სსრ კავშირის სახალეროდიოს თავმჯდომარესთან ერთად შეიმუშაონ წინადადება იმის შესახებ, თუ როგორ გააშუქონ სესიის მუშაობა.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიის მუშაობა 25 აპრილამდე გასტანს. ასე გადაწყვიტეს დეპუტატებმა.

15 თებერვალს სესია მუშაობას განაგრძობდა. დღის პირველ ნახევარში გაიმართა პალატების მორიგი გაერთიანებული სხდომა.

ჯერჯერობით ვერ შეთანხმდნენ

სესიის შემტევი სტილი მისი დაწყების პირველ წუთებშივე გამოიკვეთა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოტანილი დღის წესრიგის პროექტი დეპუტატებმა კრიტიკის ჭარცეცხლში გაატარეს. მთელი დღე მიმდინარეობდა დისკუსია. 50 საკითხდან 21 უმნიშვნელოვანესად ჩათვალეს და უწინარეს ყოვლისა, დადასაწყვეტთა სიაში შეიტანეს.

დისკუსიის მთავარი თემა მაინც. სახალხო დეპუტატთა მესამე, რიგგარეშე ყრილობის სასწრაფოდ მოწვევა და პრეზიდენტის ხელისუფლების შესახებ. საკითხი გახლდათ. პარლამენტის წევრთა უმრავლესობას ამ საკითხზე ერთი გამოკვეთილი აზრი აქვს; ისინი მხარს უჭერენ თვით იდეას, მაგრამ ანგარიშგასაწევი შენიშვნებით.

სახალხო დეპუტატს ვ. ადვაძეს მიაჩნია, რომ საჭიროა პრეზიდენტის რეალური ხელისუფლების დამკვიდრება, მაგრამ ჯერ ამისათვის ნიადაგი მზად არ არის. უპირველესი ამოცანა ფედერაციის საკითხია, ის, თუ რა უფლებები მიეცემათ რესპუბლიკებს კავშირის შემადგენლობაში, როგორ მივაღწიოთ მათს სუვერენიტეტს. ეს იმას ნიშნავს, რომ სადმე სახალხო დეპუტატთა მესამე სესიაზე გამოტანილ ძირითად კანონებს არ მივიღებთ, სანამ არ გაირკვევა როგორი იქნება პრეზიდენტის უფლებები და როგორ გავრცელდება იგი რესპუბლიკებზე, ამ თემაზე ლაპარაკი ნაადრეა. ვ. ადვაძე აუცილებლობად თვლის: ჯერ რესპუბლიკებში გაიმართოს უმაღლესი საბჭოს არჩევნები, გამოითქვას აზრი პრეზიდენტის ხელისუფლებაზე, შემუშავდეს ფარკვეული პოზიცია და შემდეგ გავიტანოთ იგი სახალხო დეპუტატთა მორიგ ყრილობაზე.

იმის მიუხედავად, რომ სახალხო დეპუტატ ა. სობჩაკს ეურნალისტები მოსვენებას არ აძლევენ და ფრიად გაუჭირდა მათი „ტყვეობიდან“ თავის დაღწევა, მაინც მოახერხა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის გაეზიარებინა თავისი აზრი სესიის მთავარ საკითხზე.

— გულწრფელად მივესალმები პრეზიდენტის ხელისუფლებას. ეს ჩვენთვის აუცილებლად საჭირო საქმეა, მაგრამ მისი ნაჩქარევად, ერთი ხელის მოსმით გადაწყვეტა არ შეიძლება, მით უმეტეს, ამისათვის რიგგარეშე ყრილობის მოწვევა უზერხულად მიმაჩნია, თუნდაც იმიტომ, რომ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ჩვენს ქვეყანას კი წამლის შესაყენი ფული ალარა აქვს. სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, ძლიერი პრეზიდენტი სჭირდება, მის სიძლიერეს კი, მოგეხსენებათ, ძლიერი პარლამენტი განაპირობებს.

ამასთან, ეს ფაქტორი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წყობილებას არეგულირებენ. უზენაეს საბჭოს დაევალა ამ საკითხებზე შემოსული წინადადებანი ორგანოებს, ორგანიზაციებს, ინიციატივიანებს, ადგილობრივ ორგანოებს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთეულებს, ეროვნულ-კულტურულ ავტონომიებს, ეროვნულ-ეროვნულ ერთეულებს, ეროვნულ-ეროვნ

დაასახელეს დეკუტატობის კანდიდატები

(დასასრული)

ელექტროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის განყოფილების დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში **დავით ალექსანდრეს ძე ფირცხალავა** — საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირისაგან.

მარნეულის ელექტროქსელის დირექტორი **გიორგი სერგის ძე კოტრიკაძე** — საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირისაგან.

საქართველოს. ტექნიკური უნივერსიტეტის არაორგანულ ნივთიერებათა კათედრის გამგე **ლერი ივანეტის ძე გვახალია** — საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირისაგან.

საქართველოს სსრ სამეცნიერო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გურამ დავითის ძე ახვლედიანი** — საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირისაგან.

სსრ კავშირის პროდუქციის ხარისხის მართვისა და სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე **მურზაყან ვალერიანის ძე ბეგეშიძე** — საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირისაგან.

ვარკეთილ ჰიდროელექტროსადგურის კასკადის დირექტორი **გოდერძი შალვას ძე კუპრავა** — საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირისაგან.

რუსთავის ელექტროქიმიური ქარხნის მარტენის საამქროს ჩამოსასხმელი ამწის მემანქანე **ავთანდილ გიორგის ძე ხუხაიშვილი** — რუსთავის №20 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინერი **გელა ვლადიმერის ძე მაისურაძე** — რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-სამეურნეობათაშორისო გაერთიანების უფროსის პირველი მოადგილე **მამია ივანეს ძე მახარაძე** — რუსთავის №4 სამუსიკო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **მუხრან ივანეს ძე მაჭავარიანი** — სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოებისა და ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო თეატრის შრომითი კოლექტივისაგან.

ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე **ნანული გრიგოლის ასული წერეთელი** — ამ განყოფილების შრომითი კოლექტივისაგან.

ჭიათურის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების გენერალური დირექტორი **ჟუმბერ თადეოზის ძე ხარაიშვილი** — ჭიათურის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან.

ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **კაზმერ ანდროს ძე ცხადაძე** — ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგე **გივი ოთხის ძე თალაკვაძე** — თბილისის №52 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

ახალციხის №9 სამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინრის მოადგილე **როინ ვახტანგის ძე თაქთაქიძე** — საქართველოს სახალხო ფრონტის ახალციხის რეგიონული ორგანიზაციისაგან.

ახალციხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მმაჩის განყოფილების გამგე **ნელი ოთარის ასული ღონღაძე** — საქართველოს სახალხო ფრონტის ახალციხის რეგიონული ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური და სოციალურ-პრობლემათა ახალგაზის სარაიონთაშორისო განყოფილების გამგე **კონსტანტინე მეთოდეს ძე გვიშიანი** — საქართველოს სახალხო ფრონტის ახალციხის რეგიონული ორგანიზაციისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII დარგობრივი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **არჩილ არჩილის ძე ბერაძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

სამხედრო მოსამსახურე **გენადი პეტრეს ძე კლიმენტოვი** — სამხედრო ქალაქების ამომრჩევლებისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოს და სამართლის კვლევითი ცენტრის სექტორის ხელმძღვანელი **ოთარ კალისტრატეს ძე გამყრელიძე** — საზოგადოება „კავკასიური კლუბისაგან“.

თბილისის საფირმო გაერთიანების „ოვერის“ ინფორმაციის, პროგნოზირებისა და საქმიანი ურთიერთობის ცენტრის ხელმძღვანელი **რომან შალვას ძე გოგინაშვილი** — საქართველოს სახალხო ფრონტის ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის რეგიონული ორგანიზაციისაგან.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი **ელდარ ნიკოლოზის ძე შენგელაია** — თბილისის ექსპერიმენტული ავეჯის ფაბრიკის მეთაური წარმოების შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სახალხო ფრონტის ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის „გამგეობის თავმჯდომარე **ლეგი თარაშის ასული თორქია** — ამ ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სამკერვალო ფაბრიკის „ნინოს“ ტექნიკური კონტროლის განყოფილების ინჟინერი **დოდო აკაკის ასული გოგოლაშვილი** — ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის არქფონდის მთავარი არქიტექტორი **ანრი ილიას ძე ყრუაშვილი** — საქართველოს არქიტექტურულ-საპროექტო და სამშენებლო კოოპერატივების ასოციაციისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ირაკლი გრიგოლის ძე გვერდწითელი** — საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურ კომიტეტთან არსებული საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციისაგან.

„თბილინრემშენის“ ტრესტის ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშრავი **ვეფხო მოსეს ძე ყატაშვილი** — ამ სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის მოადგილე **ზურაბ ივანეს ძე ბერიძე** — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციისა და საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული პედაგოგთა ასოციაციისაგან.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის მშენაგი მეურნეობის საექსპლოატაციო სამსახურის მუშა **მალხაზ ოსეფის ძე ტბიუნაშვილი** — ამ სამსახურის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი **ლეონიზა ვლადიმერის ასული ბოჩკოვა** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

აფხაზეთის ასსრ სახალხო განათლების მინისტრი **თამარ ივანეს ასული კოღონია** — აფხაზეთის ქალთა საოლქო საბჭოსაგან.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **არჩილ ზურაბის ძე ჯაფარიძე** — თეთრწყაროს საკვებწარმოების სარაიონთაშორისო გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან.

გალის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი **დალეკო დავითის ასული ხორავა** — აფხაზეთის ქალთა საოლქო საბჭოსაგან.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზუგდიდის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ისტორიის მუზეუმის დირექტორი **გონელი მიხეილის ძე არახამია** — ამ მუზეუმის შრომითი კოლექტივისაგან.

გალის რაიონის ახიგვარის კომბინატის პარტკომის მდივანი **ნაზიბროლა ხუტას ასული ხახაია** — აფხაზეთის ქალთა საოლქო საბჭოსაგან.

ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი **ბორის შალვას ძე ქორჩავა** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

საქართველოს კომპარტიის გულრიფშის რაიკომის მდივანი **იულია ზაქარიას ასული პაპავა** — აფხაზეთის ქალთა საოლქო საბჭოსაგან.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსი **ამურ კონსტანტინეს ძე ბაბუხადია** — ქუთაისის №3 სამშობიარო სახლის შრომითი კოლექტივისაგან.

გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმარნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე **თამარ არტემის ასული ლიპარტია** — აფხაზეთის ქალთა საოლქო საბჭოსაგან.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **დემურ პავლეს ძე ჩიხლაძე** — რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების „აგრომრეწვტრანსის“ შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის სოხუმის რაიკომის მეორე მდივანი **ძაბული იულონის ასული რეკაცავა** — აფხაზეთის ქალთა საოლქო საბჭოსაგან.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ეკვერ ეფრემის ძე ნიგარაძე** — ქუთაისის №23 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრი **ლილი დუგუეის ასული ბგანბა** — აფხაზეთის ქალთა საოლქო საბჭოსაგან.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პარტკომის მდივანი **იური ალიოშას ძე წოწურია** — ზუგდიდის აგრომბაკის შრომითი კოლექტივისაგან.

„ზუგდიდგაზის“ ტრესტის მმართველი **ლონგინოზ ნოსნგინოზის ძე ჭანია** — ამ ტრესტის შრომითი კოლექტივისაგან.

ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **დავით ვარლამის ძე წერეთელი** — ქუთაისის №112 პროფტექნიკურ სასწავლებლის დირექტორი **ჯიმშერ კონსტანტინეს ძე რუხაძე** — ამ პროფტექსასწავლებლის შრომითი კოლექტივისაგან.

ზუგდიდის ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე **ლუარა შოთას ასული შენგელია** — ამ საბჭოს შრომითი კოლექტივისაგან.

ზუგდიდის № 7 საშუალო სკოლის დირექტორი **ირისტო ისიდორეს ძე თოლორაია** — სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

ზუგდიდის საქალაქო გაზეთ „მებრძოლის“ მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე **ქეთევან ვენერეტის ასული ტაბალუა** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი **ზაურ კაპიტონის ძე ჩქვანავა** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **დავით ილიას ძე სვანიძე** — ცაგერის რაიონის ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს შრომითი კოლექტივისაგან.

რესპუბლიკური გაერთიანების „საქსამოქალაქმრეწვმშენის“ განყოფილების უფროსი **შოთა შალვას ძე სალარაძე** — ამ გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან.

მარნეულის რაიონის წერეთლის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ვალერი მიხეილის ძე გაბელია** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებისაგან.

„საქსამოქალაქმრეწვმშენის“ გაერთიანების №7 ტრესტის მმართველი **გივი ბორისის ძე გუჯეჯიანი** — ამ ტრესტის სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მთავარი რედაქტორი **ოთარ დავითის ძე ოხესელიანი** — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სახალხო ფრონტის საარბიტრაჟო სამსახურის თანამშრომელი **ნოდარ ნიკოლოზის ძე ბაბალიანი** — ქ. თბილისის ლენინის რაიონის ქალთა საბჭოსაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი **ელენე ასლანის ასული ხარაბაძე** — საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებისაგან.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის №42 ცენტრალური აფთიაქის გამგე **ავთანდილ აკაკის ძე მანჯავიძე** — ამ აფთიაქის შრომითი კოლექტივისაგან.

ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი **სოფიო არჩილის ასული კოტიშვილი** — ქ. თბილისის ლენინის რაიონის ქალთა საბჭოსაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი **ოსეფ ლევანის ძე ახალკაცი** — ქ. თბილისის ლენინის რაიონული კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსი **ვიქტორ გიორგის ძე სულაბერიძე** — № სამხედრო ნაწილის ამობრჩევლებისაგან.

ქ. თბილისის საზოგადოებრივი კვებისა და სურსათის კოოპერატივთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ლევან კვირიხის ასული სურგულაძე** — საქართველოს წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მურთაზ გრიგოლის ძე ზანკალიანი** — ამ კავშირისაგან.

თბილისის №15 ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი **ზინაიდა სერგოს ასული გოგუაძე**—ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის ქალთა საბჭოსაგან.

თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სოციალური ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის კათედრის გამგე **ვიქტორ მიხეილის ძე იაშვილი** — თბილისის № 12 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის შრომითი კოლექტივისაგან.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსი **ალექსანდრე ალექსანდრეს ძე კვანტალიანი** — ამ განყოფილების შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვის კათედრის გამგე **თენგიზ ანდროს ძე ჭიაბრიშვილი** — საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებისაგან.

თბილისის №2 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **კარინა ბაგრატის ასული მარტიროსოვა** — ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის ქალთა საბჭოსაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის დოცენტი **კონსტანტინე (კოკა) ნიკოლოზის ძე ამირეჯიბი** — საქართველოს არქიტექტურულ-საპროექტო და სამშენებლო კოოპერატივების ასოციაციისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ნეიროქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი **დავით გიორგის ძე მიქელაძე** — საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოებისაგან.

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ კორესპონდენტი **ცირა ბეჟანის ასული კუპატაძე** — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერის რედაქციის გამგე **სიმონ შალვას ძე კინწურაშვილი** — საქართველოს არქიტექტორთა კავშირისაგან.

შემოქმედებითი საპროექტო-ტექნოლოგიური კოოპერატივების თავმჯდომარე **შოთ მიხეილის ძე ტატიშვილი** — საქართველოს არქიტექტურულ-საპროექტო და სამშენებლო კოოპერატივების ასოციაციისაგან.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი მეტყევე **ოთარ პავლეს ძე ბალიაშვილი** — ამ კომიტეტის მცენარეული სამყაროს დაცვის რესპუბლიკური სპეციალიზებული ინსპექციის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის იკვნე. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **არტემ ივანეს ძე აზიროვი** — თბილისის ომისა და შრომის ვეტერანთა საქალაქო საბჭოსაგან.

საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომაწქანის“ ქარხანა „მიკროძრავის ზენინკალი **ნოდარ დავრეშის ძე მამრაშვილი** — თბილისის № 93 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ორგანოთერაპიული პრეპარატების ქარხნის მუშა **ვალენტინა ნიკოლოზის ასული ძამაშვილი** — თბილისის № 40 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მერაბ ნიკოლოზის ძე მელიბრიშვილი** — თბილისის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის „ენისლის“ შრომითი კოლექტივისაგან.

(საქინფორმი).

ეკლესია

საქართველო

15 თებერვალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

ხუთეულის შეხვედრა

გამოქვეყნდა პრესისათვის გაწაფული განცხადება კამბოჯის პრობლემის მოწესრიგების საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ხუთი ქვეყნის წარმომადგენელთა მეორე შეხვედრის შედეგების შესახებ.

შეხვედრა გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუიორკის შტაბ-ბინაში და იყო იმ კონსულტაციების. პროცესის განგრძობა, რომლებიც დაიწყო იანვრის შუა რიცხვებში პარიზის პირველ ამგვარ შეხვედრაზე.

მოქმედებდა რა იმ პრინციპების განვითარებისათვის, რომელთა მიმართ მიღწეული იყო მორიგება პარიზში, ხუთეულმა განიხილა მშვიდობიანი პროცესის პრაქტიკული ასპექტები, რომლის ფარგლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს გაზრდილი როლი თავისუფალ და სამართლიან არჩევნებზე გადასვლაში, ნათქვამია დოკუმენტში. დისკუსიებში საერთო მიზანი იყო მიეღწიათ ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის, რომელსაც მოჰყვება მშვიდობის უსწრაფესი, აღდგენა, ნეიტრალური პოლიტიკური კლიმატის შექმნა არჩევნების ჩასატარებლად და გარდამავალ პერიოდში და მისი დამთავრების შემდეგ კამბოჯის ერთიანობის შენარჩუნება.

● **ჩეხოსლოვაკია**

ცვლილებები ტელევიზიაში

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ მოიწონა დოკუმენტი, რომელსაც ჰქვია „განსაკუთრებული რეჟიმი ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიაში“. ტელევიზიის გენერალურმა დირექტორმა ინდრიხ ფაირაიზლმა განაცხადა, რომ ორი თვის მანძილზე სამუშაოდან უნდა დაითხოვონ ორი ათასი თანამშრომელი; თითქმის 1200 — პრაღაში და 800 — ბრატისლავაში. უკვე თებერვლის მიწურულს უნდა შედგეს იმათი სრები, ვინც „განსაკუთრებულ რეჟიმში“ ხვდება.

ასეთ საგანგებო ღონისძიებას ოფიციალურად იმით ასაბუთებენ, რომ მთავრობას ტელევიზიის დასაფინანსებლად სახსრები არა აქვსო. თუმცა აქ ბევრს მიაჩნია, რომ ეს მხოლოდ საბაბია, რათა ტელევიზია კომუნისტებისაგან გაწმინდონ. ამას მოწმობს იგრეთვე ბრალი ტელევიზიის მუშაკთა კრებაზე განთავისუფლდნენ „ძველი სტრუქტურებისაგან“.

● **გდრ**

დამთავრდა ჰ. მოდროვის ვიზიტი

ბონი. აქ დამთავრდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა სბჭოს თავმჯდომარის ჰანს მოდროვის მოლაპარაკება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ჰელმუტ კოლთან, რომლის მთავარი თემები იყო ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების, ევროპეთ საევროპო და ეკონომიკური კავშირის პრობლემები.

ვიზიტის შედეგები რომ შეაჯამა, ჰ. მოდროვმა აღნიშნა, რომ ორი გერმანული სახელმწიფოს დაახლოება საერთაშორისო პროცესს ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს.

იგი უნდა ითვალისწინებდეს როგორც მეზობლების, ისე ევროპის და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოების კანონიერ ინტერესებს, განაცხადა კანცლერმა ჰ. კოლმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე. მხოლოდ ასე, თქვა მან, გაერთიანების პროცესს შეუძლია წვლილი შეიტანოს ევროპაში სტაბილურობისა და უშიშროების განმტკიცებაში. ამავე დროს კოლს კვლავ არ გაუცია მკაფიო პასუხი დასმული კითხვაზე პოლონეთის დასავლეთ საზღვრების შესახებ და ამტკიცებდა, ეს პრობლემა შეიძლება საბოლოოდ მხოლოდ „მომავალი გაერთიანებული გერმანიის მთავრობამ“ გადაწყვიტოსო.

თავის მხრივ ჰ. მოდროვმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ საჭიროა წინდახედულება და არსებულ საერთაშორისო რეალობათა გათვალისწინება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი თქმით, მომავალშიც იქნება საბჭოთა კავშირის პარტნიორი. მან მხარი დაუჭირა ევროპის ახლანდელი საზღვრების ურღვევობას.

● **მონღოლეთი**

პროკურატურის ცნობა

ულან-ბატორი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პროკურატურამ გადაწყვიტა შეამოწმოს პარტიისა და ქვეყნის ყოფილი ხელმძღვანელის ი. ცედენბალის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები. ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია ბოლო დროს მონღოლეთის ზოგიერთ ცენტრალურ გაზეთში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან პუბლიკაციათა საფუძველზე, ნათქვამია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პროკურატურის ოფიციალურ ცნობაში. ეს ცნობა დაბეჭდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „უნენმა“.

იუწყებიან აგრეთვე, რომ სამართალდაცვითი ორგანოები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კვლავ იღებენ მშრომელთა წერილებს, რომლებიც შეიცავენ ი. ცედენბალის მიერ კანონიერების ფეხქვეშ გათელვის დადასტურებებს.

პრეზიდენტი ქმაყოფილია

პრესკონფერენცია თეთრ სახლში

▼▼

ვაშინგტონი. პრეზიდენტი ჯ. ბუში ოთხშაბათს შეხვდა სახელმწიფო მდივანს ჯ. ბეიკერს, რომელმაც გააცნო საბჭოთა კავშირში თავისი მოლაპარაკების დოტაციული გამართული კონფერენციის — „ღია ცის“ — შედეგები, რომელშიც მონაწილეობდნენ ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ყველა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურები.

ჯ. ბეიკერთან შეხვედრის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტმა გამართა ხანმოკლე პრესკონფერენცია. „მოხარული ვარ, — განაცხადა მან, — რომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების თაობაზე ვენის მოლაპარაკების 23-მა მონაწილემ მიიღო წინადადება, რომელიც წამოვაყენე 31 იანვარს წერილში „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“. შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს თითოეულს ევროპის ცენტრალურ ზონაში ეყოლება არა უმეტეს 195 ათასი სამხედრო მოსამსახურისა. ამერიკის შეერთებულ შტატებს ეძლევა ნება დამატებით იყოლიოს 30 ათასი სამხედრო მოსამსახურე ევროპაში მისი ცენტრალური ზონის გარეთ. ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რომელიც ალმოფხვრის დიდ დაბრკოლებას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადების გზაზე“.

„მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა გერმანიის შეერთების საკითხში, — განაგრძო ბუშმა, — მიღწეული მორიგება ითვალისწინებს ორი გერმანული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკებას ოთხი სახელმწიფოს — შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთიანი გერმანიის მშენებლობის საგარეო ასპექტების განსახილველად“.

უპასუხა რა რეპორტიორთა კითხვას, პრეზიდენტმა განაცხადა რომ, შეერთებული შტატების აზრით, გაერთიანებული გერმანია უნდა იყოს ნატოს წევრი. მაგრამ ასეთი პოზიცია, მისი თქმით, არ გამორიცხავს „მოქნილობას იმ საკითხში, თუ სახელდობრ, სად იმყოფება ჯარები“. ყველა ეს საკითხი განიხილება. ცვლილებები იმდენად სწრაფად ხდება, რომ რეაგირებაც კი ძნელდება“ — დასძინა ბუშმა.

„როდის იქნება მზად შეთანხმება ევროპაში შეიარაღებული ძალების შესახებ?“ — ჰკითხეს პრეზიდენტს. მან პასუხის გაცემა ბეიკერს სთხოვა. პრეზიდენტს სურს, რომ ეს წლეულს მოხდეს და ამას ვესწრაფვით ჩვენც“. — ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა.

● **აშშ**

დამოუკიდებელი ეროვნული ინფორმაციისა

ფოტოინფორმაცია



● იტალიის საინფორმაციო სააგენტომ ანსამ მთელ მსოფლიოში გავრცელა პიზის ცნობილი კოშკის ფოტოსურათი და კიდევ ერთხელ შეიცადა მიეკცია მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღება 1173 წელს აშენებული ამ უნიკალური ძეგლისადმი.

განაგრძობს რა „ვარდნას“ პიზის კოშკის გადახრამ უკვე გადააჭარბა უსაფრთხოების უკიდურეს საზღვრებს. გარდა ამისა, კოშკს ემუქრება ნაწილობრივ დანგრევის საშიშროება. სააგენტო მოუწოდებს იტალიის სპეციალურ სამთავრობო კომისიას მიიღოს გადამწყვეტი ზომები.

სურათზე: პიზის კოშკი.

შეიცან სკამი შენი, ანუ ესეც თქვენი გარდაქმნა

(ღია წერილი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისადმი)

წარსულის ქიმერები

1988 წლის თებერვლის მიწურულში, უნივერსიტეტის სტუდენტების მიტინგის შემდეგ, რომელიც მოითხოვდნენ დავითგარეჯის მუზეუმ-ნაკრძალიდან საარტილერიო პოლიგონის გადატანას, გაზეთი „კომუნისტი“ რატომღაც უკუმზერიობის სენმა შეიპყრო. ყველასგანსაცვიფრებლად იგი დაუბრუნდა 10 და 30 წლის წინათ ჩემს წინააღმდეგ დაბეჭდილ პასკვილებს. ამასთან იგი გვიმტკიცებს, რომ „არ გაჭირა მაშინდელმა გულშემატკივრულმა კრიტიკამ, რჩევამ, შეგონებებმა“, ზვიად გამსახურდია კვლავ ზვიად გამსახურდიად დარჩა და მისი პოზიცია მას შემდეგ თურმე იოტისოდენადაც არ შეცვლილა. სამაგიეროდ, უკანასკნელ პერიოდში, როგორც ვიცით, თავად გაზეთი „კომუნისტი“ შეიცვალა და გარდაიქმნა, ეპოქის შესაბამისად, მიაღწია უდიდეს წარმატებებს საჯაროობის ფრონტზე, შეიძინა გულახდილობა, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ იგი სხვა „კომუნისტია“ და არა ის, რომელიც თეთრს შავად გვისაღებდა, ჭორებს უტყუარ სიმართლედ და ცილისწამებას — მადლად. მაშ რით აგხსნათ ის გარემოება, რომ ამ „გარდაქმნილ“ გაზეთში 1988 წლის 28 თებერვალს გამოქვეყნდა ახალი პასკვილი, „შეიცან თავი შენი“, რომელმაც გადააჭარბა იმ წარსული ეპოქის „შედევრებს“ ჭორით, ღვარძლითა და ფალსიფიკაციით. ან ვით უწოდებს ეს დღევანდელი გარდაქმნილი გაზეთი „გულშემატკივრულ კრიტიკას, რჩევას და შეგონებას“ იმ არნახულ ვაკხანალიას და წყევლა-გინებას, რომელიც დაიძრა პრესის ფურცლებიდან ჩემს წინააღმდეგ? განა ამაზე არ ღაღადებენ რუბრიკები და სათაურები: „მოღალატე ფარისეელნი“, „გამცემ ლ ე ბ ი“, „წყეული ზვიად გამსახურდიას“, „მებრძოლი მომხვეჭელი“, „ძე ნაკლულოვანი“, „ცილისმწამებლებმა და პროვოკატორებმა პასუხი უნდა აგონ“ და ა. შ. დახეთ, რა შეგობრული რჩევა-დარიგება და შეგონება სცოდნიათ! თურმე რის გაცოცხლებას მიელტვის დღეს გაზეთი „კომუნისტი“!

ვინ გვასწავლის ჭკუას

ჩემი ახლად მოვლენილი გულშემატკივარი, მოძღვარი და ჭკუის დამრიგებელი, ამ ახალ შეგონებათა ავტორი (მისივე სიტყვა რომ ვიხმარო) საშუალო და უმაღლეს დამთავრებული კაცი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ ანდობდნენ ესოდენ პასუხსაგებ თანამდებობას პრესის ცენტრალურ ორგანოში. იგი აღშფოთებით გვამცნობს: „ზვიად გამსახურდიას უცხოეთის ჟურნალისტებმა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი უწოდეს, მან კი არ უარჰყო ეს სიცრუე!“ კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ერთი გვიბრძანოს ჩვენმა ახლად მოვლენილმა განმანათლებელმა: თუ იცის მან საერთოდ სიტყვა „პროფესორის“ მნიშვნელობა? გაუგია თუ არა მას, რომ ევროპაში სიტყვა „პროფესორი“ უბრალოდ „მასწავლებლის“ მნიშვნელობით იხმარება, რაც მისი ნამდვილი ლათინური მნიშვნელობაა. ამის არცოდნამ კი უნდა დაგვიჭეროს, რომ მას სიმწიფის ატესტატი კეთილსინდისიერი ზეთა აქვს მოპოვებული. ნეტავი თქვენს პრესას, რომლის ცენტრალურ ორგანოსაც ამგვარი „კომპეტენტური“ ადამიანები განაგებენ. აქვე მახსენდება ერთი თბილისელი ლექტორი ათეიზმის, რომელიც თუთიყუშივით იმეორებდა, რელიგია ხალხის ოპიუმიაო, მაგრამ როდესაც ჰკითხეს ოპიუმი რა არისო, ვერ უპასუხა. ასე რომ, დელფოს სიბრძნეს დაწაფებულო ჟურნალისტო, ჯერ სიტყვა „პროფესორის“ მნიშვნელობა გაარკვიეთ კარგად.

სინდისმან შენმან გამოგაჩინოს, ანუ იგივე ხარ რაც იყავი

რახან წარსულის ნოსტალგია წამოგეძალათ და უკუმზერიობა დაგჩემდათ, მეც შეგახსენებთ ზოგიერთ ფაქტს წარსულიდან. დღეს არ იშურებთ ქების სიტყვას აწ განსვენებული მამაჩემის მისამართით და დიდ კონსტანტინეზე იხსენიებთ მას, მაგრამ განა არ გადმობეჭდეთ ის წერილი, რომელშიც თქვენმა სულიერმა წინამორბედებმა და კოლეგებმა, 1956 წლის 20 დეკემბერს, გაზეთ „კომუნისტში“ გალანძღეს კონსტანტინე გამსახურდია „უნიჭო, უქნარა და ხულიგანი“ შვილის გაზრდის გამო (წერილი „სარეველა“), რითაც სასიკვდილოდ გაწირეს იგი და ინფარქტი დამართეს. ასე რომ, თქვენის მხრით ისტორიული სიმართლის ღალატია ამჟამად ჩემი ქება, ვითომდაც წარსულში ესოდენ „კარგსა“, „ნიჭიერისა“ და „გამორჩეულისა“. ამით თქვენ ეწინააღმდეგებით თქვენივე გ

გამოჩენილი მეცნიერი, დაუვიწყარი აღმზრდელი

პროფესორ მ. ზანდუკელის დაბადების 100 წლისთავი

ლამაზი სულისა და გარეგნობის ადამიანი იყო პროფესორი მიხეილ ზანდუკელი. ეს მისი სულიერი და ფიზიკური ახოვნება წარეშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა ყველაზე, ვინც კი მას იცნობდა. მაღალი ზნეობის პიროვნება, პრინციპული, კეთილი, სამართლიანი, ბუნებითა და აღზრდით ინტელიგენტი — ასეთი დარჩა იგი თავისი მოწაფეებისა და ახლობლების ხსოვნაში.

1909 წელს მიხეილ ზანდუკელმა დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო. ერთხანს ყარსის რეალურ სასწავლებელში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას, ხოლო 1916 წელს მასწავლებლად დაინიშნა თბილისის გიმნაზიაში.

ოცანი წლებიდან მ. ზანდუკელმა ფართოდ გაშალა პედაგოგიური საქმიანობა. იგი აქტიურად მონაწილეობდა სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციაში. პირველ ხანებში განათლების სახალხო კომისარიატში მუშაობდა რესპუბლიკის საშუალო და უმაღლესი სკოლების სამმართველოს უფროსად. 1921 წლიდან 1929 წლამდე თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლას ხელმძღვანელობდა. ეს სასწავლებელი მ. ზანდუკელმა საინიციატორო სკოლად აქცია. ამ სკოლის გამოცდილებას ეცნობოდნენ არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ სომხეთისა და აზერბაიჯანის განათლების მუშაკებიც. მ. ზანდუკელი, როგორც პედაგოგი და ხელმძღვანელი აღნიშნული სასწავლებლისა, განაგრძობდა დიდი ქართველი პედაგოგების გზას და შემთხვევითი არ არის, რომ მისი სახელი ისევე დაუკავშირდა ქართული სკოლის ისტორიას, როგორც თავის დროზე იოსებ ოცხელს, სილოვან ხუნდაძის, მარიამ აკუხიშვილის, თამარ მაჭავარიანისა და სხვათა. „ზანდუკელის სკოლას“, როგორც მას უწოდებდნენ, ყველა იცნობდა საქართველოში და მან ჩვენს ქვეყანას ბევრი თვალსაჩინო ადამიანი აღუზარდა.

ახალი პრინციპების შესაბამისად სკოლების გარდაქმნისათვის საჭირო იყო დიდი მეთოდურ-პედაგოგიური სამუშაოს ჩატარება. ამ მიზნით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომელსაც დაევალა ახალი სასწავლო პროგრამების შედგენა, არსებული სახელმძღვანელოების გადასინჯვა და ახალი სახელმძღვანელოების შექმნა. ალიანსის საბჭოს თავმჯდომარე იყო ივანე ჯავახიშვილი, ხოლო მდივანი მიხეილ ზანდუკელი.

იმავე ხანებში დიდი ყურადღება მიექცა საქართველოში ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესებას, ხოლო, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, 1929 წელს გადაწყდა სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება. ამ საშვილიშვილო საქმეს სათავეში ჩაუდგა ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პროფესორი გ. გეხტმანი და მ. ზანდუკელი.

გამოჩენილი მეცნიერი, დაუვიწყარი აღმზრდელი

პროფესორ მ. ზანდუკელის დაბადების 100 წლისთავი

პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობასთან ერთად მ. ზანდუკელი ბეჯითად განაგრძობდა სამეცნიერო მუშაობასაც. 1923 წელს იგი დატოვეს თბილისის უნივერსიტეტში, როგორც მაშინ ამბობდნენ, „საპროფესოროდ, მოსამზადებლად“. 1925 წ. მან ჩაბარა სადოქტორო გამოცდები, რის შემდეგაც დაევალა XIX ს-ის ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის წაკითხვა. როგორც აღნიშნული სისტემატური სალექციო კურსი, ასევე ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კურსიც ჩვენს უნივერსიტეტში პირველად შექმნა და წაიკითხა მ. ზანდუკელმა.

1936 წელს მ. ზანდუკელმა მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და მიენიჭა პროფესორის წოდება.

რამდენიმე წელი მ. ზანდუკელი ხელმძღვანელობდა ფილოლოგიის ფაკულტეტის მუშაობას როგორც დეკანი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი ისაა, რომ იგი 10 წლის განმავლობაში იყო ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე და უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ეს კათედრა უნივერსიტეტის ერთერთ წამყვან სასწავლო და სამეცნიერო კერად იქცა.

უნივერსიტეტში თავისი მოღვაწეობის მანძილზე მ. ზანდუკელმა მრავალი მოწაფე აღზარდა, რომელთაგან ზოგი თვალსაჩინო მეცნიერი და ახალი თაობის აღმზრდელია, მ. ზანდუკელის უშუალო ხელმძღვანელობით ასპირანტურა დაამთავრა 25 ახალგაზრდამ. მან 32 დისერტანტს გაუწია ოპონენტობა, რომ აღარაფერი ვთქვათ სტუდენტებისადმი მის გულსხმიერ დამოკიდებულებაზე, სემინარიებში თუ სადილობამ თემებზე მუშაობის დროს ახალგაზრდობისადმი ყურადღებაზე. ამ მხრივ



ილია — ქართველი რომანტიკოსებით დაწყებული და ხალხოსნებით დამთავრებული. ეს სამი წიგნი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციების ანალიზს მოიცავს. წიგნების ღირსება ისაა, რომ მათში ნაჩვენებია XIX საუკუნის ეროვნული მწერლობის განვითარების და მომწიფების სურათი საზოგადოებრივ პროცესებთან დაკავშირებით. ჩვენ სულ რამდენიმე ნაშრომი მოგვეპოვება, რომლებშიც თანმიმდევრულად, სისტემატურად არის შეფასებული ახალი ქართული მწერლობის ფაქტები. ა. ხახანაშვილისა და ვ. კოტეტიშვილის შემდეგ პროფესორი მ. ზანდუკელი პირველი იყო, რომელმაც ამ მხრივ სერიოზული მუშაობა ჩაატარა. ამიტომაა, რომ მისი ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის სამი წიგნი არაერთგზის გამოიცა.

ცალკე წიგნებად არის დაბეჭდილი მეცნიერის რამდენიმე საყურადღებო მონოგრაფია, რომელთაგან, უწინარესად, უნდა აღინიშნოს 1953 წელს გამოქვეყნებული „ვაჟა-ფშაველა“, აქვე უნდა დავასახელოთ რუსულად ორგზის გამოცემული „ნარკვევები XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“ (სამჯერ გამოიცა), „ნარკვევები“, „ი. ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა“ და სხვ. მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ (1968 წ.) გამოვიდა მისი თხზულებების ხუთტომეული.

აღსანიშნავია მ. ზანდუკელის მიერ გამოცემული ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები, მაგალითად, დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“ (1932 წ.), გრ. ორბელიანის ლექსები (1935 წ.) და სხვა. ყველა გამოცემას სათანადო გამოკვლევა, ტექსტოლოგიური აპარატი და კომენტარები ახლავს. მ. ზანდუკელის რედაქციითვე გამოვიდა ი. ჭავჭავაძის პროზა რუსულ ენაზე (1937 წ.) მისივე თაოსნობითა და რედაქციით უნივერსიტეტში გამოიცა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულები.

ოცდაორი წელი გავიდა პროფესორ მიხეილ ზანდუკელის გარდაცვალებიდან, მაგრამ ის ზნეობრივი ატმოსფერო, რომელსაც იგი ქმნიდა, მისი ნაღვაწი და კეთილი საქმენი დავიწყებას არ მისცემია.

ჯუმბერ ჯუმბურიძე,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ქველებურად მუშაობა აღარ შეიძლება

გაიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკაში შექმნილი ოპერატიული მდგომარეობა, შეჯამეს 1989 წელს შინაგან საქმეთა ორგანოებისა და მისი ქვეგანაყოფების საქმიანობის შედეგები და დასახეს მომდინარე წელს დამნაშავეობის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის ორგანიზაციის ამოცანები.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. ი. შადურის მოხსენებაში და სხვათა გამოსვლებში აღინიშნა, რომ რთული და ფრიად დაძაბული აღმოჩნდა შარშანდელი წელი. აპრილის ტრაგიკულმა ამბებმა თბილისში, ეროვნებათშორისმა კონფლიქტებმა ქვეყნიერ ქართლის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რაიონებში მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება შექმნა რესპუბლიკაში. მდგომარეობა გაამწვავა სხვადასხვა აფიორმალური გაერთიანების გააქტიურებამაც. ჩვეულებრივი გახდა ხალხმრავალი მიტინგები, გაფიცვები და სხვა აქციები.

ერთი სიტყვით, მილიციის ორგანოებს რთულ ექსტრემალურ პირობებში უხდებოდათ მუშაობა და, საერთოდ, მათ გაუძლეს ამ გამოცდას, თუმცა ზოგიერთი ადგილობრივი ორგანო და მათი ხელმძღვანელები დაიბნენ უჩვეულო სიტუაციაში, ვერ გამოიჩინეს გამბედაობა. ასეთი დაბნეულობა, ხშირად კი პასიურობაც გამოვლინდა აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში მოვლენების დროს, როცა მთელ რიგ შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს თავს დაესხნენ იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით. საშუბაროდ, იყო მილიციის მუშაკთა მხრივ ღალატის შემთხვევებიც. ისინი ამჟამად მიცემული არიან ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მთლად სწორად არ მოქმედებდნენ სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ორგანოებიც, როცა „ადამონ ნიხასის“ ორგანიზაციის წევრები აწყობდნენ თავიანთ კანონსაწინააღმდეგო აქციებს. სრულიად აღმაფოთებელი ფაქტი გამოვლინდა შარშან ნოემბერში. სოფელ თამარაშენში დააკავეს და დააპატიმრეს ცხინვალის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უბნის ინსპექტორი უფროსი ლეიტენანტი გ. კოჩიევი. მისი მანქანიდან ამოიღეს შაშხანა და ვაზნები, ორი ხელყუმბარა, ერთი მათგანი — თვითნაკეთი. ვისთვის იყო განკუთვნილი ეს იარაღი? რატომ არ იცოდა ეს სამმართველოს ხელმძღვანელობამ? — სამართლიანად სვამდნენ კითხვებს სხდომაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა არ აპირებს შეცდომებისათვის დასჯოს ხელაღებით ყველა, მაგრამ მკაცრ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში აძლევენ თითოეულს, ვინც უღალატა თავის ღირსებასა და პატიოსნებას, თავის პროფესიულ მოვალეობას.

მძაფრი, ზოგჯერ კი დრამატული პროცესები, რომლებიც გარდაქმნას ახლავს, თვისებრივად ახალ პირობებს უქმნის სამართალდაცვითს საქმიანობას. და დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების მიერ დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების, საწესდებო მოთხოვნების უმკაცრესი დაცვის საკითხები. შარშან სოციალისტური კანონიერების დარღვევისათვის 96 თანამშრომელი დასჯა. არის იარაღის არამართლზომიერი გამოყენების, პატიმრებთან ნებადაურთველი ურთიერთობის, ცემის და სხვა ფაქტები. არცთუ იშვიათია პირად შემადგენლობას შორის ლოთობის, სამუშაოზე გამოუსვლელობის, დაუდევრობის, დოკუმენტების დაკარგვის შემთხვევები.

ამ ბოლო დროს გახშირდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მილიციის თანამშრომელთა დაღუპვისა და დაჭრის შემთხვევები. სამეთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ მსხვერპლის თავიდან აცილება შეიძლებოდა, სწორად რომ შეემუშავებინათ ოპერაციების გეგმები, პროგნოზირებული და გათვალისწინებული ყოფილიყო სხვადასხვა გარემოება.

იმასთან დაკავშირებით, რომ მილიციის მუშაკებს დღენიადაგ იყენებენ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად რეგიონებში, სადაც ეროვნებათშორისი კონფლიქტები წარმოიშვა, სისხლის სამართლის დამნაშავეობასთან ბრძოლის სიმძაფრე საგრძნობლად შენელდა. ამ ბოლო 10-15 წლის მანძილზე არ ყოფილა პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულობათა ისეთი ზრდა, როგორიც ახლაა. შარშან ჩადენილი 207 მკვლელობა და 202 მკვლელობის მცდელობა — ეს 40 პროცენტით მეტია, ვიდრე წინა წელს.

უკიდურესად დაბალია ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების და უწინარესად საუბნო ინსპექტორების მხრივ მოსახლეობაში აღმრთელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის დონე. ისინი უფრო ხშირად უნდა მიდიოდნენ მშრომელთა კოლექტივებში, სასწავლებლებში, ჰქონდეთ ინფორმაცია რაიონებში მორალურ-ზნეობრივი კლიმატის შესახებ.

სამინისტრო შეფფოთებულია პირადი და სახელმწიფო საკუთრების დანაშაულებრივი ხელყოფის გაზრდილი დონით, რომლის შესახებ მილიციის ორგანოები ხშირად იგებენ მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ. ხდება ხოლმე, რომ დაგვიანებით მიდიან ისინი მოქალაქეთა განცხადებების მიხედვით, არის სახელმწიფო აღრიცხვისაგან დატაცებათა ფაქტების დამალვის შემთხვევებიც კი.

კვლავინდებურად სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მდგომარეობა რესპუბლიკის ავტოგზებზე. გაიზარდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი, რაც მძღოლთა და ქვეითთა დისციპლინის შესუსტებით აიხსნება.

აღინიშნა სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლ განყოფილებათა მუშაობის შედეგების შემცირება, განსაკუთრებით პერიფერიაში. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მრავლად არის მექრთამეობანი, უშრომელი შემოსავლის მიღების, კოოპერატივებში ბოროტმოქმედების ფაქტები, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებების ზოგიერთი მუშაკი კი ახგარიშებში სტაბილურობის სურათს „ხატავს“.

კოლეგიის სხდომის მონაწილენი შეეხნენ ისეთ მწვავე და ჭირბოროტო თემასაც, როგორიც არის არაფორმალური ორგანიზაციების საქმიანობა. ამ ბოლოს ეროვნების უგულებელყოფა, ეროვნული ნაკლოვანებანი, მათ მხარს უჭერს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. და აქ ერთადერთი სწორი ტაქტიკა მოთმინებითი დიალოგი და გონივრული კომპრომისებია. მთელ რიგ კონკრეტულ შემთხვევებში მიღწეულია ურთიერთგაგება. მაგრამ ამ მუშაობაში საჭიროა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დიდი მხარდაჭერა.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-სამსახურებრივ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით კოლეგიამ სამმართველოების, ორგანოებისა და ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს მოსთხოვა უფრო აქტიური პოზიცია დაიკავონ სამართალდაცვითი ამოცანების გადაწყვეტაში და მთავარი ყურადღება დაუთმონ სამართალდარღვევების პროფილაქტიკას, ყველა სამსახურის რადიკალური გარდაქმნის უზრუნველყოფას.

უნდა ვისწავლოთ მუშაობა დემოკრატიის გაღრმავებისა და საჯაროობის გაფართოების პირობებში, ამასთან დაავეკრძნოთ ხალხის ნდობისა და მხარდაჭერას, აღმოვფხვრათ ფორმალიზმი, ბიუროკრატიზმი, კანცელარული სტილისკვეთება. ეკონომიკურ სფეროში დანაშაულობებთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდისათვის უნდა გამოიყენოთ პროფილაქტიკური მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები. საჭიროა გავაანალიზოთ დანაშაულობანი პიროვნების წინააღმდეგ, რომლებიც ჩადენილია სოციალიზმ-ყოფიის ნიადაგზე, გავაქტიუროთ ბრძოლა ქონებრივ დანაშაულობებთან, გავაძლიეროთ არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობასთან ბრძოლის კომპლექსური პროგრამის რეალიზაცია, სრულყოფთ მუშაობა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის.

სხდომის შედეგები შეაჯამა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა შ. ვ. გორგოძემ. სხდომაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგე ო. კ. გონაძე. (**საქინფორმი**).

შეიცან სკამი შენი, ანუ ესეც თქვენი გარდაქმნა

(დასასრული)

ამის გამო ვცანი დანაშაულად გამრავლება და გავრცელება ზემოხსენებული ლიტერატურისა და მასალებისა, და „მოვინანიე“ ეს ყოველივე. ამით ხელი შევუწყე მრავალ პოზიტიურ ძვრებს ჩვენი ერის ცხოვრებაში, ვინაიდან თავად ხელისუფლება წავიდა გარკვეულ კომპრომისებზე, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ის, რომ გაუმჯობესდა ეკლესიის მდგომარეობა, დაიწყო ნაწილობრივი საეკლესიო ლიბერალიზაცია, გამტკიცდა ილია მეორის პოზიციები, რომელთან დაკავშირებ ი თ ა ც თქვენ ამდენ ჭორს ავრცელებთ იმავე ეგზეთში. მრავალი ჩვენი მოთხრობა შესრულდა სხვა სფეროებშიაც, როგორც ამას აღნიშნავს ბერან ჯოსტავა თავის განცხადებაში ჩემი მონანიების შესახებ, რომელიც თქვენდა სავალოდ მთელს მსოფლიოში გამოქვეყნდა. ის დიალოგი, რომელიც ხელისუფლებამ შესთავაზა ა. სახაროვს, ჯერ კიდევ იმ ქამად შემომთავაზეს მე, ა. სახაროვი და მისი მომდევრები ასეთ დიალოგს საქმის ღალატად არ თვლიან. არც მე ვთვლი მას საქმის ღალატად იმ შემთხვევაში, თუ იგი გონივრულად და ფრთხილად იქნება წარმართული.

მოუნანიებლობა სჯობდა

თუმც ცხადია, ჩვენი ერის მტრებისათვის სჯობდა, რომ არ მომენანიენინა საერთოდ, სჯობდა ჩემი და მ. კოსტავას უცხოეთში გაძევება (ვინაიდან ციხეში დიდ ხანს არავინ გაიჩერებდა ნობელის პრემიაზე წარდგენილ პატიმრებს), საქართველოში ტოტალური ანარქიის გაბატონება, ეროვნული მოძრაობის მიტოვება გამოუცდელი ახალგაზრდების ანაბრად და ამით მისი დაღუპვა, ამიტომაც სისინებენ დღეს ზოგიერთები, „სისუსტით მოინანია“, „კეთილდღეობისათვის მოინანია“. **მათ ვერ მოუნელებიათ აგრეთვე ის, რომ მე ვიპოვე სწორი გზა ბრძოლისა, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა დღეს საერთაშორისო სამართლის პოზიციებიდან გამოდის, რაც განაპირობებს მის უძლეველობას.** რა თქმა უნდა, მტრებისათვის სჯობდა შიმეული ანტისოვეტიზმი, მაშინ ხომ უფრო იოლად გაანადგურებდნენ ეროვნულ ძალებს რეპრესიებით! აი რატომ არის ჩემი მონანიება მათთვის უდიდესი ბოროტება! აი რად მისტირის წარსულს გაზეთი „კომუნისტი“! რად ცდილობს გამოხმობას წარსულის საავალო ქიმერებისას! იმდეს ამყარებს მათზე, ხავსს ეშიდება, და არას ამბობს აწმყოზე, ჩემს ამჟამინდელ საქმიანობაზე, რომელსაც იგი ვაი რომ, მხოლოდ ანტისაბჭოურს ვეღარ დაარქმევს. აი, რად არის ღარიბი „კომუნისტის“ ინფორმაცია ჩემს დღევანდელ დღეზე, აი რად იგონებენ ჭორებს, რომელიღაც ძრახებზე და მათ ქურდებზე, რომელთაც თურმე მე ვიცავ „ანტისაბჭოური ენიდან“ შეპყრობილი. მაშ შემოგელიათ საფანელი? რას იზამთ, ამასაც უნდა შეეგუოთ, ჩემო კარგებო!

თავდაყირა დაყენებული ფაქტები

ამ პასკვილის თითქმის ყოველი წინადადება თუ ფრაზა, სიტყვესა და სიყალბეს შეიცავს. თითოეული მათგანის მხილება დიდ დროსა და ადგილს წაგვართმევს, ამის გამო მე მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შეეჩერდები. როგორც აღვნიშნე, იგი გვამცნობს, რომ მე თურმე 9 თვის გადასახლების შემდეგ გამოვსულვარ „ვრემიას“ პროგრამით, დამიგმია ჩემი „ნამოღვაწარი“ და პატიება მითხოვია. სინამდვილეში კი ყველფერი პირიქითაა. ტელევიზიით არაასოდეს გამოვსულვარ, არამედ ტელევიზიაში ჩემი ნებართვის გარეშე უჩვენეს ჩემი დაკითხვის ვიდეოფირი (ისიც ნახევარი), რომელიც, როგორც გადაღების დროს მითხრეს, სასამართლოზე საჩვენებლად იყო გამიზნული. ასე რომ, დაკითხვის ფირი გასაღდა „ტელეინტერვიუდ“. მეორეც, მე ჩემი ნამოღვაწარი არ დამიგმია და არც პატიება მითხოვია, არამედ ჩემს შეცდომად ვაღიარე სხვისი ნამოღვაწარის გამოაკლება-გამეცლება ჩემ მიერ ე. ი. ისეთი მასალებისა, რომელნიც ჩემს კალამს არ ეკუთვნოდა. მესამეც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემი დაკითხვის ვიდეოფირი უჩვენეს **გადახასლებამდე,** უშუალოდ სასამართლოს შემდეგ, 1978 წლის 19 მაისს, და არა **გადასახლების შემდეგ,** როგორც ბრძანებს ჩვენი „პირუთვნელი მეისტორიე“, პატიება კი ვითხოვე გადასახლებიდან გამოგზავნილ წერილში და არა ვიდეოფირში. ასე რომ, როგორც ვხედავთ, ყველაფერი პირიქითაა. ჭეშმარიტად დიდი ხელოვნებაა ერთ წინადადებაში ამდენი ტყუილისა და დეზინფორმაციის მოთავსება.

მართალია, პატიების შესახებ ჩემს განცხადებაში არის არაგულწრფელი მომენტები, და ჩემთვის უჩვეულო ფრაზეოლოგია, მაგრამ განა დიდი ილია გულწრფელი იყო, როდესაც ტაქტიკური მოსაზრებით ადიდებდა საქართველოს ანექსიას რუსეთის მიერ შეერთების 100 წლისთავის იუბილეზე, რათა ამ გზით შეენარჩუნებინა ერთადერთი ქართული გაზეთი და გადაერჩინა ეროვნული საქმე?

ახლა ვნახოთ რა კეთილდღეობა დამხვდა გადასახლებიდან დაბრუნებისას? ჩეკისტების მიერ იავარქმნილი სახლი, რომელშიც არ იყო გათბობა, ჩამოდიოდა წყალი, გაძარცვული, დაგლეჯილ-დაფხრეწილი ბიბლიოთეკა და არქივი მამაჩემისა, შინაური პატიმრობა, ჩვილი ბავშვების შიმშილი (პირდაპირი გაგებით), ბოიკოტი გამომცემლობებსა და რედაქციებში, ყველაფერი ყადაღადადებული სამოქალაქო სასამართლოს მიერ, სადაც სამი წელიწადი კიდევ მატარეს და კიდევ მრავალი სხვა „სიამოვნება“.

აი თურმე რას მივილტვოდი მონანიებით და რა მოვიპოვე. გაზეთში ფალსიფიცირებული და გადაკეთებული ჩემი სხვადასხვა წერილები, მათ შორის წერილი ანდროპოვისადმი, და სხვადასხვა ინსტანციებში იმ ფაქტების შესახებ, რისი მოწმეც იყო მრავალი ადამიანი. მათ შორის მერაბ კოსტავა, არსებობს რამდენიმე სამედიცინო დასკვნა და რაც წერილობით დაადასტურა უშიშროების კომიტეტის ერთ-ერთმა აგენტმა, რომლის ხელნაწერიც ინახება კალინინის რაიონის მილიციაში. კიდევ, 1975 წლის 20-23 სექტემბერს უცნობმა პირებმა დაუდგინელი აიროვანი ნივთიერებით თუ სითხით, მოწამლეს ჩემი სახლის ეზო და მანქანა, რის შედეგადაც ჩემს ეზოში დაიხოცა ყველა შინაური ცხოველი თუ ფრინველი, ხოლო მე ერთ კვირას სიკვდილის პირას ვიყავი ასფიქსიით, წნევითა და გულის უკმარისობით, სისხლის ანალიზმა ინტოქსიკაცია დაადასტურა, ასევითვე სიმპტომებით გახდა ავად ჩემი მეუღლე (ანალოგიური ნივთიერება გამოიყენეს ინფორიოდში მოსკოველ მწერალ ვ. ზოლინოვიჩზე და სხვა დისიდენტებზე). გაზეთი კი ქილიკობს, რომ თურმე ჩვენ პულსი აგვიჩქარდა და მამალი მოგვიკვდა, რის შედეგადაც ავტეხეთ ეს განგაში, იმავე პერიოდში უცნობმა პირებმა გაუფუჭეს ჩემს მანქანას მუხრუჭები, რის შედეგადაც მე სასწაულით გადავრჩი ავარიას, ვინაიდან გაფრთხილებული ვიყავი ელეფონზე ანონიმურად ვინმეთა მიერ. პასკვილის ავტორი კი მუხრუჭების ნაცვლად **მოტორის** გაფუჭებაზე წერს, რათა წყალი აამღვრიოს და მკითხველს ღიმილი მოჰგვაროს.

თუმცა არა უშავს, ჩემი წერილების დედნები ინახება სათანადო ადგილებში, დრო მოვა, როდესაც მათ შეადარებენ გაზეთის სიცრუეს და პასუხს მოსთხოვენ ფალსიფიკატორებს. **1988 წლის 17 თებერვალს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებამ ოფიციალური უარი უთხრა ჩემს მეუღლეს, მ. არჩვაძეს — გამხახურდიას, ჩვენი ვაჟის ცოტნეს წაყვანაზე დასავლეთ გერმანიაში, ნაარ-ბრიუკენში,** საიდანაც მივიღე ოფიციალური მოწვევა ამ მხარის პრემიერ-მინისტრის ლაფონტენისაგან და კიდევ მოწვევა ერთი ჩემი მეგობრისაგან. ჩემი გამგზავრება კი არც მითხოვია უშიშროების კომიტეტის თანამშრომლის შანტაჟის შემდეგ, რომელმაც მე მამცნო, რომ „კომიტეტი დაინტერესებულია ჩქარა გამოსტუმრის საზღვარგარეთ, რის ქვეტექსტსაც ყოველი ბავშვი მიხვდებოდა.

გაზეთი კი შავით თეთრზე წერს: „ერთ მშვენიერ დღეს მას აცნობეს: თქვენი თხოვნა დაკმაყოფილებულია, შეგიძლიათ ვაჟი უცხოეთში წაიყვანოთ სამკურნალოდ“. ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, იქნებ 17 თებერვალსა და 28 თებერვალს შორის მიიღეს რაღაც გადაწყვეტილება და სასწრაფოდ დავრეკეთ ვიზების გასაფორმებლებში, მაგრამ თვით შს თანამშრომელიც კი განაცვიფრა გაზეთის ასეთმა ურცხვობამ და თვალთმაქცობამ, მან რაღაც გაურკვეველი წაიბურტყუნა და უხმოდ დაგვიკიდა ყურმილი.

რაც შეეხება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია II-ს, რომლის შესახებაც ამდენი რამ მოჭორეთ იმავე წერილში, თავისი დამოკიდებულება თქვენდამი, ბატონო ნუგზარ ფოფხაძეს, მან შესანიშნავად გამოხატა, როდესაც გამოგაძევეთ საპატრიარქოდან ზვიად გამსახურდიას სალანძღავი ინტერვიუს ასაღებად რომ მიბრძანდით ტელეკამერით. ესეც გაიყოფათ სახელად სამარადჟამოდ. აქედან სჩანს, აგრეთვე, თუ რამდენად მართალი ხართ, ყოველივე იმაში, რაც მოჩმახეთ ჩემი მოვდლოობისა და მოვდელთმოავრობის პრეტენზიის შესახებ. იქვე გადაკრულად მიანიშნეთ, რომ მე თურმე ცილს ვწამებდი ქართული ეკლესიის მესვეურთ, ალბათ კრამიანად „მიტროპოლიტ“ ბიძინა კერატიშვილს თუ გულისხმობდით და აწ გასამართლებულ „მთავარეპისკოპოსს“ ცეზარ ანანიაშვილს!

თქვენი გაზეთიდან ისიც „შეგიტყვე“, რომ მე თურმე დაუსრულებლად ვდავობ მამაჩემის ყოფილ მძღოლთან, წოწორიასთან და საკუთარ დასთან. ერთი მიბრძანეთ, ვით შეიძლება დავა 10 წლის წინათ გარდაცვლილ ადამიანთან? რადენადაც ვიცი, კომუნისტების საიქიო არ გწამთ, ხოლო ამ მძღოლის შვილი, რომელსაც თქვენ გულისხმობთ, მძღოლი როდია, არამედ ბაზის გამგე. იგი ჩემს მეზობლად ცხოვრობს და ამის გამო დაპატიმრების შიშით, იძულებულია დაემრჩოლოს ინფორმალურ ორგანოებს, რომელნიც ჩემზე მეთვალყურეობასთან ერთად, ათასგვარ პროვოკაციებს ავალებენ ჩემს წინააღმდეგ. მაგრამ ამ პირონებების საქმიანობასა და თანამდებობას იმის გამო მალავთ, რომ მკითხველი იოლად არ მიხვდეს ყოველივეს.

რაც შეეხება უშიშროების კომიტეტის მეორე მსხვერპლს, ნ. გამსახურდიასა და მის მეუღლეს, რომელთაც აგრეთვე საქმე შეიტანეს სასამართლოში ჩემს წინააღმდეგ მამისეული სახლიდან გასაძევებლად, მამაჩემის ხსოვნისათვის შეურაცხყოფის მისაყენებლად, მე პროტესტს ნიშნად არ გამოვცხადდი მათ მიერ აღძრული სასამართლოს არცერთ სხდომაზე, რის გამოც არცერთი მათგანი არ ჩატარებულა. საბოლოოდ კი თბილისის სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ, 1982 წლის 21 სექტემბერს გაუქმა საქმე № 793, როგორც უკანონოდ აღძრული ნათელ გამსახურდიას მიერ, რაც აღნიშნულია კოლეგიის № 775 განჩინებაში. თუ გაზეთი „კომუნისტი“ დაამტკიცებს, რომ მე ვედავებოდი ნ. გამსახურდიას, დასახელებს თარიღს და ადგილს სასაჯარმთლო სხდომისას, სადაც მე ვითომდაც განვაცხადე: „ნათელი კონსტანტინეს ასულ გამსახურდიას არავითარი წილი არ ეკუთვნის მამის მემკვიდრეობიდან და მე მას ჩემს დად არ ვცნობო“, მე ვიტყვი, რომ თქვენ მართალნი ხართ და უკან წავიღებ ჩემს სიტყვებს: წინაღმდეგ შემთხვევაში თავად მოგიხდებათ სასამართლოს წინაშე წარდგომა და **პასუხისგები უსაფუძვლო პრეტენზიებს!** მაგრამ ამ ბიბლიოგრაფიის საქმიანობასა და თანამდებობას იმის გამო მალავთ, რომ მკითხველი იოლად არ მიხვდეს ყოველივეს.

რაც შეეხება ეროვნებათშორისი კონფლიქტების მეორე მხეგირპლს, ნ. გამსახურდიასა და მის მეუღლეს, რომელთაც აგრეთვე საქმე შეიტანეს სასამართლოში ჩემს წინააღმდეგ მამისეული სახლიდან გასაძევებლად, მამაჩემის ხსოვნისათვის შეურაცხყოფის მისაყენებლად, მე პროტესტის ნიშნად არ გამოვცხადდი მათ მიერ აღძრული სასამართლოს არცერთ სხდომაზე, რის გამოც არცერთი მათგანი არ ჩატარებულა. საბოლოოდ კი თბილისის სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ, 1982 წლის 21 სექტემბერს გაუქმა საქმე № 793, როგორც უკანონოდ აღძრული ნათელ გამსახურდიას მიერ, რაც აღნიშნულია კოლეგიის № 775 განჩინებაში. თუ გაზეთი „კომუნისტი“ დაამტკიცებს, რომ მე ვედავებოდი ნ. გამსახურდიას, დასახელებს თარიღს და ადგილს სასაჯარმთლო სხდომისას, სადაც მე ვითომდაც განვაცხადე: „ნათელი კონსტანტინეს ასულ გამსახურდიას არავითარი წილი არ ეკუთვნის მამის მემკვიდრეობიდან და მე მას ჩემს დად არ ვცნობო“, მე ვიტყვი, რომ თქვენ მართალნი ხართ და უკან წავიღებ ჩემს სიტყვებს: წინაღმდეგ შემთხვევაში თავად მოგიხდებათ სასამართლოს წინაშე წარდგომა და **პასუხისგები უსაფუძვლო პრეტენზიებს!** ეგეც ეკონომიკური ოლქის ტაბუ ყოფილა! ეს ეკონომიკური ოლქი ჩემ ბებიას ეკუთვნოდა, ბებიაჩემი ეკონომისტი ყოფილა, ბებიაჩემ ეკონომისტ ოლქ ... ეკონომიკური ... ...